# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 2 მარტი 2007 №46 (2969) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალკაცი ოპტიმისტია

### თუ მომავლისთვისაც ოპტიმალური იყო...



თვრამეტი დღეც და, საქართველოს ეროვნული ნაკრები გლაზგოში შეიკრიბება 24 მარტს ევროშესარჩევში შოტლანდიასთან სათამაშოდ. ეს გარდამტეხი მატჩი იქნება, რადგან ამ თამაშის შემდეგ ძალიან კარგად გამოჩნდება, საქართველოს ნაკრებისთვის მიმდინარე შესარჩევი ციკლი დამდეგი შესარჩევისთვის მოსამზადებელი ეტაპი იქნება, თუ ახლავე შეეძლება ფინალური ეტაპისთვის ბრძოლა.

ერთი სიტყვით, შოტლანდიამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც იმედიანადაა და ოპტიმიზმს საკუთარი არგუმენტებით ამყარებს. ახალკაცი მიიჩნევს, ნაკრებს უკვე ისეთი პროგრესი აქვს, ყველასთან ძალუძს ტოლსწორად შეხლაო.

## სიონი ნავსის წინააღმდეგ



ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი — მეთხუთმეტე ტურის მთავარმატჩი ბოლნისში იქნება.

„სიონი" ის გუნდია, რომელსაც ლიდერთა ხუთეულში მყოფთაგან არც ერთისთვის მოუგია პირველ წრეში და ვინძლო დღეს თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან" გატეხოს ნავსი. თავის მხრივ, ვიტელები წინა ტურში ქუთაისის „ტორპედოსთან" დაკარგული ქულების შემდეგ ორმაგი შემართებით იბრძოლებენ.

ტურის სხვა თამაშებიდან მაინცდამაინც გამოსარჩევი არც ერთია: რუსთავის „ოლიმპი", „ზესტაფონი", თბილისის „დინამო" და თბილისის „მერი" ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებს ხვდებიან და ამ თამაშების შედეგები იოლად გამოსაცნობია, თუმც ფეხბურთია და, ვინ იცის...

## კანავაროს ისე ველარ ვარო მილანს და იუვენტუსს არ აინტერესებთ



მადრიდის „რეალში" ფაბიო კანავაროს არადამაჯერებელ თამაშს ბოლო არ უჩანს და „სკუადრა აძურას" 33 წლის კაპიტნის სამშობლოში დაბრუნებაზე უკვე სერიოზულად ალაპარაკდნენ.

„ვიცი, საუკეთესო ფორმაში არ ვარ, თუმცა ყველანაირად ვცდილობ, ისევე ავთამაშდე, როგორც „იუვენტუსში" და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობდი. ამ ეტაპზე მეტს არაფერს ვიტყვი" — განაცხადა კანავარომ.

ესპანური „ასი" კი ამტკიცებს, რომ იტალიურმა „მილანმა" უკვე დაიწყო „რეალთან" მოლაპარაკება და ძალიან დიდი შანსია, კანავარომ ზაფხულში შავ-წითელი მაისურა მოირგოს — ამას უკვე არც მილანელები მალავენ, თუმცა სათქმელია ისიც, რომ მათ სერიოზული კონკურენტი ჰყავთ — ტურინის „იუვენტუსი".

# მზადება სერიოზული შეტევისთვის

## ნოდარ ახალკაცი: საშოტლანდიო ოპტიმიზმი რეალურ გათვლებზეა დამყარებული

**7 მარტს უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი საქმიანი ვიზიტით თბილისში ჩამოვა. უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში გადამწყვეტი აღმასვლეთ ევროპის ხმები გამოდგა და, ცხადია, უეფას ახალი პრეზიდენტისგან საპასუხო ქმედებასაც ველით. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს პირველ რიგში ამ თემაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, მერე კი სხვა საკითხებსაც გადავწვდით...**



გურამ ცხვარიაშვილის ფოტო

— პლატინი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დახმარებას დაპირდა — თუ არის უკვე კონკრეტულად ცნობილი, რა სიკეთეს მოუტანს პლატინის პრეზიდენტობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას?

— უკვე გადაწყვეტილია, რომ უეფასგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უწინდელზე მეტ დახმარებას მიიღებს „ჰეთ თრიკის“ და „სოლიდარობის“ პროგრამებით. თუმც პირველ რიგში პლატინის ვიზიტის მნიშვნელობაზე უნდა ვთქვა. უეფაში 53 წევრი-ქვეყანაა და პლატინი პირველი სამუშაო ვიზიტით საქართველოში რომ ჩამოვა, ეს მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კი არა, მთელი ქვეყნის წარმატებაა. თბილისიდან პლატინი ათენში გაემგზავრება, სადაც ბარსელონიდან ჩემპიონთა თასი უნდა ჩაიტანონ და ეს ოფიციალური ცერემონიით გაკეთდება. ჩვენ უეფას ერთი რიგითი წევრი არ უნდა ვიყოთ და ამაში პლატინის ვიზიტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია პირველი იყო, საჯაროდ რომ გაახმაურა პლატინის მხარდაჭერა არჩევნების წინ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ჯერ ბუქარესტში შევიკრიბეთ, მერე კი დიუსელდორფში უეფას კონგრესის წინ და სწორედ ამ კონგრესზე აირჩიეს პლატინი პრეზიდენტად. „კიკერის“გამომცემელმა კარლ-ჰაინც ჰაიმანმა თავის სვეტში დაწერა კიდეც, რომ სწორედ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერა აღმოჩნდა გადამწყვეტი პლატინის გამარჯვებაში. პლატინის ვუთხარი, არჩევნების შედეგში დარწმუნებული ვარ და გამარჯვების შემდეგ საქართველოში უნდა ჩამოხვიდეთ-მეთქი, მას გაეღიმა და მითხრა, ჩამოვალო და სიტყვაც შეასრულა.

— მეტი შანსი აღმოსავლეთ ევროპის გუნდებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გუნდების რაოდენობის 24-მდე გაზრდა — უეფას ახალი მმართველობისგან ამის იმედიც უნდა გვქონდეს?

— პლატინის სურს, რომ ჩემპიონთა ლიგის დასკვნით ეტაპზე რაც შეიძლება მეტი ქვეყნის ჩემპიონმა ითამაშოს, მაგრამ ამის განხორციელებას ჯერ ძალიან ინტენსიური მუშაობა სჭირდება. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის 24 გუნდამდე გაზრდას, უეფას აღმასკომი ასეთი ფორმატის ანალიზს უკვე შეუდგა. სიტყვა-სიტყვით თუ ვთარგმნეთ, ამას რეალობის შესწავლა ჰქვია — რას მოიტანს ოცდაოთხგუნდიანი ჩემპიონატი ფინანსურ-მარკეტინგული თვალსაზრისით.

**— უეფადან მიღებულ გაზრდილ ფინანსურ დახმარებას პირველ რიგში რას მოახმართ?**

— ფაქტია, რომ ინფრასტრუქტურის მხრივ ქართულ ფეხბურთს ძალიან უჭირს. მოედნები და სტადიონები მკვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ. უეფას მოთხოვნაცაა, რომ მალე ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის სტადიონები და მოედნები სათანადო სტანდარტებში ჩაჯდეს. საამისოდ თადარიგი ახლავე უნდა დავიჭიროთ. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვთა ფეხბურთიც. ამ სფეროში უკვე დავგეგმეთ რამდენიმე ნოვაცია. განხორციელდება C ლიცენზიის პროგრამა ბავშვთა მწვრთნელებისთვის, C ლიცენზია მათთვის მინიმალური მოთხოვნა იქნება და ლიცენზირების კურსები რეგიონებშიც ჩატარდება. რეგიონებში გაიმართება ტურნირებიც, რითაც ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევა მოხდება. შეიქმნება მონაცემთა ბაზა 17-წლამდელთა ნაკრებისთვის. იმ ფეხბურთელის მწვრთნელი, ვისი აღზრდილიც ასაკობრივ ნაკრებში მოხვდება, ფეხბურთის ფედერაციისგან ჰონორარს მიიღებს. ყოველივე ეს პერიფერიებში ფეხბურთის ბუმს გამოიწვევს, რეგიონებიდან ხომ რეალური შანსი მიეცემა ახალგაზრდა ფეხბურთელს, ამა თუ იმ ასაკობრივ ნაკრებში მოხვდეს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა ბაზის შექმნით ჩვენ არც ერთი ნიჭიერი ჭაბუკი არ უნდა გამოგვეპაროს. ამ სისტემით რეალურად და ნაყოფიერად ამუშავდებიან რეგიონალური ფედერაციებიც.

**— ყოველივე ეს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საფუძველი უნდა იყოს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ სამუშაო თათბირზე ითქვა, თუ ნაკრები ამ შესარჩევში 15 ქულას დააგროვებს, ეს დადებითი შედეგი იქნებაო — მიმდინარე შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ რა ამბიცია ექნება ნაკრებს?**

— 15 ქულა საკმაოდ სერიოზული შედეგი იქნება იმის გათვალისწინებით, თუ რა ჯგუფში ვართ. ზოგი კითხულობს, რატომ გავაფორმეთ ძვირიანი კონტრაქტი კლაუს ტოპმიოლერთან, თუ გუნდის მიზანი ფინალურ ეტაპზე გასვლა არ იყო. მათ შევახსენებ, რომ ტოპმიოლერთან კონტრაქტი 2006 წლის 9 იანვარს გავაფორმეთ, ევრო 2008-ის შესარჩევის წილისყრა კი იანვრის ბოლოს გაიმართა. ტოპმიოლერთან კონტრაქტი 2+2 სისტემით გავაფორმეთ და ჩვენი ამოცანაა, ნაკრები ამ შესარჩევში ისეთ გუნდად ჩამოყალიბდეს, 2010 წლის მსოფლიოს შესარჩევში უკვე სერიოზულ შეტევაზე რომ გადავა.

**— როგორია პრემირების სისტემა ეროვნულ ნაკრებში? როგორც ვიცით, ნაკრების ამხანაგურ თამაშებზეც არცთუ მცირე პრემიებია დაწესებული...**

— შესარჩევ ციკლს ოთხ-ოთხ თამაშად ვყოფთ და ყოველი ოთხი თამაშის შედეგის გათვალისწინებით ვადგენთ პრემიალურ თანხას, თუმც ფარერებთან მოგების შემდეგ ამ ერთ თამაშზე გადავწყვიტეთ პრემიების გაცემა. თუ 24 მარტს შოტლანდიასთან სამ ქულას მოვიპოვებთ, დავფიქრდებით იმაზე, რომ პრემიალური სისტემა დადებითად დავარლვიოთ.

**— გამოდის, რომ 24 მარტის თამაშისთვის საკმაოდ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი...**

— ეს ოპტიმიზმი რეალურ გათვლებზეა დამყარებული. ჯერ კიდევ პარაგვაისთან ამხანაგურ მატჩში გამოჩნდა, რომ ძლიერ მეტოქესთან რიგიანად თამაში შეგვიძლია. საფრანგეთთან ისეთ დროს წავაგეთ, ამ გუნდის მომგები იმ პერიოდში ალბათ არავინ იყო. ჩვენი ნაკრები საფრანგეთთან მატჩის შემდეგ ვითარდება და წინ მიდის. თუ ფეხბურთელები არ გამოგვაკლდნენ, საქართველოს ნაკრები ყველა გუნდთან შეძლებს ტოლსწორად თამაშს.

**— და რომ არა ოპტიმიზმი, საქართველოს ნაკრები გლაზგოში თამაშამდე ოთხი დღით ადრე [illegible] არ ჩავიდოდა — [illegible] მატჩებზე ამას ყველა ნაკრები არ აკეთებს...**

— ამ საკითხზე ჩემი და ნაკრების მწვრთნელის პოზიცია ერთმანეთს დაემთხვა. იგივე მოხდება ლიტვასთან თამაშისას. ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა მამაჩემისგან მაქვს გადმოღებული. ხუთი დღით გლაზგოში ყოფნა არცთუ პატარა ხარჯია, მაგრამ ჩვენთვის ყველა დეტალი მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, აკლიმატიზაციის საკითხი.

**— მომავალი შესარჩევი ციკლისთვის ფეხბურთის ფედერაცია თუ იქნება მზად იმისთვის, რომ ნაკრების მწვრთნელთა ანაზღაურება დამოუკიდებლად, სახელმწიფოს დახმარების გარეშე გადაიხადოს?**

— ამაზე ლაპარაკი ახლა ალბათ ცოტა ნაადრევია. მწვრთნელთა ხელფასისთვის საჭირო თანხა გვითია, მაგრამ ამბიციებს მთელი ჩვენი საფეხბურთო მეურნეობა უნდა უსადაგებოდეს. ასაკობრივი ნაკრებები, ქალთა ნაკრები, ფუტსალის ნაკრები — მთელი ეს მანქანა ამუშავებულია და სახელმწიფოც გვერდში გვიდგას. ეროვნულ სტადიონზე უთანამედროვესი, ძვირადღირებული სისტემა დავამონტაჟეთ, რომელიც თამაშის კომპიუტერული ანალიზის საშუალებას იძლევა — რვა ნაწილად დაყოფილ მოედანზე რვა სენსორი მუშაობს. ასეთი ანალიზით დავადგინეთ, რომ თურქეთთან მატჩში ჩვენმა თითოეულმა ფეხბურთელმა მეტოქეზე 250 მეტრით მეტი ირბინა. მოკლედ, საქმეს კომპლექსურად ვუდგებით და ეს საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

**— ამ კომპლექსში არც ერთ ასაკობრივ ნაკრებს არ ჰყავს ქართველი მთავარი მწვრთნელი — არადა, ახალგაზრდა მწვრთნელს ეს გამოცდილებასაც შესძენდა და კლაუს ტოპმიოლერისგანაც ბევრს ისწავლიდა...**

— სიტუაცია დალაგებული რომ იყოს, ნაკრებები ერთ სისტემაში მოვაქციეთ. ნაკრებების მწვრთნელთა შტაბში რამდენიმე ქართველი სპეციალისტიც მუშაობს. რომელიმე ნაკრებში მთავარ მწვრთნელად ჩვენებურის დანიშვნის საკითხი ჯერჯერობით არ დგას. [illegible] სისტემით კმაყოფილები ვართ, ყველა ნაკრებში უკვე სერიოზულ სტანდარტს მივაღწიეთ.

**დავით თავართქილაძე**

# აღსრულდა — გოგუა სატურნზეა



**ოთხთვიანი** გაუგებრობა დასრულდა. გოგიტა გოგუამ რამენსკოეს „სატურნთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა.

გუშინ რამენსკოელებმა ოფიციალურად დაადასტურეს ტრანსფერი. „სატურნის“ ვებგვერდზე გოგუას სიტყვებიცაა მოყვანილი: „დიდი ამბიციების მქონე გუნდში გადმოვედი. „სატურნს“ შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს და კარგი პირობებიც აქვს. თანაც, მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი შემტევ ფეხბურთზე აკეთებს აქცენტს, რაც ძალიან მომწონს. ვფიქრობ, „სატურნს“ რეალურად შეუძლია პრემიერლიგის ხუთეულში მოხვედრა.“

გოგუას გარდა, რამენსკოულმა კლუბმა ბოლო ორ დღეში კიდევ ოთხი ფეხბურთელი გადაიყვანა, მათ შორის ნახევარმცველი ანდრეი კარიაკა ლისაბონის „ბენფიკადან“ და ფორვარდი დმიტრი კირიჩენკო „მოსკვადან“.

არაოფიციალური ცნობით, გოგუამ რუსული პრემიერლიგის „სატურნთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ილია ნანობაშვილი**

### თურქეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
გენჩლერი 0:1 ფენერბაჰჩე (1:2)

### რუმინეთი

თასის მეოთხედფინალი
სტიაუა 3:3დ.დ. (5:4პენ.) ოცელული

### ფინეთი

ლიგის თასი. V ტური
მიუპა 2:3 ვიიკინგიტი

### როიალ ლიგა 2007

მეოთხედფინალი
ბრონდბიუ 3:0 ბრანი
ვოლერენგა 1:2 ჰელსინგბორგი

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 15 ტური


კახა ცხადაძე


პირველი წრის „ვიტ ჯორჯია“ — „სიონს“ (3:2) ნიათი არ დაჰკლებია


ნესტორ მუმლაძე

# ჩემპიონის პირველი საშინაო დავალება

**წლეულს ერთმა ტურმა უკვე ჩაიხრიგინა, სათასო მატჩებიც ვნახეთ და გუნდებზე გარკვეული წარმოდგენა უკვე შეგვექმნა, თუმც მეორე წრე ჯერ არ გახურებულა და კაცმა არ იცის, საიდან გამოჩნდება სიურპრიზები... დღეს მეთხუთმეტე ტურია და თამაშების უმეტესობა თითქოს იოლად საპროგნოზოა, ყველაზე დაძაბული ჯახი კი ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ გველის, სადაც წინა სეზონის პირველ-მეორეადგილოსნები შეებმებიან ერთმანეთს**

კახა ცხადაძის „სიონი“ მეშვიდე ადგილზეა და ლიდერს 12 ქულა აშორებს. ბოლნისელები ევროსარბიელზე გასვლის შანსს თასიდან უფრო თუ ნახავენ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ რომ თავს შეაკლავენ, ეჭვიც არაა — ეს „სიონის“ პირველი საშინაო მატჩია 2007 წელს.

ერთიც, უეჭველად საყურადღებო — თუ ზამთარში „სიონი“ ექვსი ფეხბურთელით გაძლიერდა, ვიტელებს, პირიქით, დავით დიღმელაშვილისა და გიორგი ფეიქრიშვილის წასვლით ბევრი მოაკლდათ. ყოველ შემთხვევაში, ნესტორ მუმლაძის გუნდი წინა ტურში ქუთაისის „ტორპედოს“ ვერ მოერია და მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა.

მასპინძელთა კამერუნელი „შუბის წვერები“, ერიკ რომეო ჩასემი და გასტონ ევონე ვიტელთა დაცვას ჰქონდად საქმეს გამოუჩენენ, საერთოდაც გვგონია, რომ უხვგოლიანი თამაში იქნება — „ვიტ ჯორჯიას“ ამ სეზონში საკმაოდ გააქვს და საკმაოდაც უშვებს.

გიორგი ჩიხრაძის „ამერი“ იმ „ბათუმს“ მასპინძლობს, რომელმაც გორის „დილას“ ბოლო ორ წუთში გატანილი ორი გოლით შეუტრიალა თამაში. ზღვისპირელებმა წინა ჩემპიონატში ორივე მატჩი მოუგეს გლდანელებს, მაგრამ ახლა, როდესაც გუნდებს შორის განსხვავება 21 ქულაა, ფავორიტი ვინაა, ლაპარაკიც არ უნდა.

„ზესტაფონი“ უცნაურ „მერანს“ დაუხვდება — უცნაურს იმიტომ, რომ თბილისელები სტუმრად გაცილებით უკეთ თამაშობენ, პირველ წრეში სულაც „ვიტ ჯორჯიას“ ასწაპნეს ქულა. და მაინც, ზესტაფონში მერანელები თითქმის უშანსოდ არიან, თემურ მახარაძის გუნდი ძალიან სტაბილურია და იაღლიშები არ სჩვევია. ერთიც, შესაძლოა, ფეროელთა შემადგენლობაში ბრაზილიელმა ახალწვეულებმა, ჟონატასმა და ლეანდრომ ითამაშონ.

დუშან უჰრინის „დინამოს“ გორში უნდა ეთამაშა „დილასთან“, მაგრამ „თენგიზ ბურჯანაძეზე“ რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და თბილისის „შევარდენზე“ მოისტუმრებს ერთ-ერთ აუტსაიდერს. „დილა“ და „დინამო“ სხვადასხვა ორბიტაზე არიან — შიდაქართლელები უმაღლეს ლიგაში დარჩენის მცირე შანსს თავისი გაქანების გუნდებთან უნდა ჩაებღაუჭონ.

წინა ტურში დინამოელთა მთავარფორვარდი სანდრო იაშვილი დისკვალიფიცირებული იყო და მის ნაცვლად ეულ თავდამსხმელად ჩერნიგოველი ილია სპასოევიჩი თამაშობდა, ვინაც „ბორჯომს“ გოლი გაუტანა. საინტერესოა, დააყენებს უჰრინი იაშვილ-სპასოევიჩის დუეტს თუ ისევ ერთფორვარდიან სქემას აირჩევს?

კონკილაქულიანი „კახეთი“ ლიდერ „ოლიმპის“ წინააღმდეგ — ვნახოთ, გაჯიუტდებიან კახელები? და თუ გაჯიუტდებიან, რამდენად ეყოფათ ძალა რუსთაველთა შესაჩერებლად? ჰო, პირველ წრეში ოლიმპელებმა 7:0 გაანადგურეს თელაველები.

იმერული დერბია ქუთაისში: ფეხბურთელთა კონტინგენტს რომ გადავხედოთ, საჩხერის „ჩიხურა“ „ტორპედოს“ არათუ ჩამოუვარდება, სჯობნის კიდეც, მაგრამ ერთია შემადგენლობა და მეორეა თამაში.

ტურის შუიდეულიდან ყველაზე ნაკლები მოტივაციის თამაში კი „მიხეილ მესხზეა“ — „ლოკომოტივსა“ და „ბორჯომს“ გავარდნის საფრთხე არ ემუქრებათ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 14 | 11 | 2 | 1 | 35:5 | 35 |
| ამერი | 14 | 10 | 3 | 1 | 30:8 | 33 |
| ზესტაფონი | 14 | 10 | 3 | 1 | 26:4 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 4 | 1 | 30:16 | 31 |
| დინამო | 14 | 10 | 0 | 4 | 26:11 | 30 |
| ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 16:8 | 25 |
| სიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 19:13 | 23 |
| ლოკომოტივი | 14 | 4 | 2 | 8 | 11:21 | 14 |
| მერანი | 14 | 4 | 2 | 8 | 12:27 | 14 |
| ბორჯომი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:27 | 12 |
| ბათუმი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:15 | 12 |
| ჩიხურა | 14 | 2 | 4 | 8 | 10:24 | 10 |
| დილა | 14 | 0 | 3 | 11 | 7:40 | 3 |
| კახეთი | 14 | 0 | 1 | 13 | 10:40 | 1 |

თბილისი. 2 მარტი. 15 საათი. ამერი
## ამერი — ბათუმი
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; შ. ქუხილავა, დ. სანოძე; გ. ვადაჭკორია

ბოლნისი. 2 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია
## სიონი — ვიტ ჯორჯია
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ვ. გუმბერიძე

თბილისი. 2 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი
## ლოკომოტივი — ბორჯომი
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი; ბ. ჭიჭინაძე, დ. კვეტენაძე; ლ. კვარაცხელია

ზესტაფონი. 2 მარტი. 15 საათი. ცენტრალური
## ზესტაფონი — მერანი
მსაჯები: დ. სანაია; მ. ნაკაიძე, კ. გუდურაშვილი; კ. ჭაჭუა

თელავი. 2 მარტი. 15 საათი. გივი ჩოხელი
## კახეთი — ოლიმპი
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; გ. ყრუაშვილი, ზ. ბერულავა; ო. ხეცაძე

ქუთაისი. 2 მარტი. 15 საათი. ტორპედო
## ტორპედო — ჩიხურა
მსაჯები: ლ. სილაგავა; დ. კურტანიძე, თ. ხუჭუა; მ. ბეუქლიშვილი

თბილისი. 2 მარტი. 15 საათი. შევარდენი
## დილა — დინამო
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. ტეფნაძე, გ. დოგრაშვილი; პ. დოგრაშვილი

ტირაჟი №2
უმაღლესი ლიგა
ამერი — ბათუმი
სიონი — ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი — ბორჯომი
ზესტაფონი — მერანი
კახეთი — ოლიმპი
ტორპედო — ჩიხურა
დილა — დინამო
პირველი ლიგა
4 მარტი
ვიტ ჯორჯია 2 — გაგრა
მესხეთი — დინამო 2
ზესტაფონი 2 — მაღაროელი
ჩიხურა 2 — ოლიმპი

*მეორე ტირაჟისთვის საპრიზო ფონდი 2 000 ლარია*

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში
WWW.PFL.GE
ჩვენი მიზანი
თქვენი მოგებაა!

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
ოლიმპი

# ქართველ ჭაბუკებს მარიფათი მარფაში გაუქრათ

**გუშინ** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიის ქალაქ მარფაში ოთხთა ტურნირში ჩაება და ირლანდიასთან 1:3 დამარცხდა. ტურნირის მეორე შეხვედრაში პორტუგალიამ 3:0 სძლია ბელგიას.

საქართველოს ეს 19-წლამდელთა ნაკრები 17-18 წლის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ამ ბირთვით შემოდგომაზე ითამაშებს 2008 წლის ეროვპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

ირლანდიასთან კი ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *კვასხვაძე, ბენაშვილი (სოფრომაძე 68), ხუმარაშვილი, ქვრივიშვილი, სანაია, დაუშვილი, ჩარგეიშვილი, თარგამაძე (ჯანელიძე 79), მჭედლიძე, ყენია, ფანცხავა (წულაძე 65).*

ირლანდია პირველ ტაიმში დაწინაურდა, გამთანაბრებელი კი საჩხერის „ჩიხურას“ ნახევარმცველმა თამაზ ჩარგეიშვილმა გაიტანა ლოკომოტიველი ლევან ყენიას პასით. ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა ბოლო ორი გოლი 64-ე და 88-ე წუთებზე გაუშვა.

89-ე წუთზე ქართველი ჭაბუკები ათნი დარჩნენ — მეკარესთან უხეშობისთვის რევაზ წულაძე გააძევეს.

ნამატჩევს ჰაინც ტოპმიოლერმა აღნიშნა, ამ ეტაპზე ჩვენი გუნდის უმთავრესი ნაკლი შეუთამაშებლობა და საგოლე მომენტების ვერგამოყენება არისო.

დღეს ჩვენი 19-წლამდელები პორტუგალიას გაეჯიბრებიან.



კახა ცხადაძემ თავისი ჭილა სერგო ორბელაძე „სიონშიც“ იახლა

# მსაჯები შეიკრიბნენ და... ითქვა არაფერი

**გუშინ** ფეხბურთის ფედერაციაში მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის მსაჯთა დამნიშნავი კომისია შეიკრიბა და პროფლიგის ამასწინანდელ გამგეობის სხდომაზე თბილისის „დინამოს“ მიერ დასმულ საკითხზე იმსჯელა. კერძოდ, „დინამო“ ითხოვს, რომ თასის გათამაშების, პირველი და საპასუხო მატჩებზე მსაჯთა დანიშვნის პრინციპი შეიცვალოს და შეხვედრებს სხვადასხვა ბრიგადები მოემსახუროს. ახლანდელი მოდელით კი მსაჯთა დანიშვნა საქართველოში 1995 წლიდან ხდება და როგორც ზემოთხსენებული კომიტეტის გუშინდელ განცხადებაში წერია, თურმე საპრეტენზიო დღემდე არავის არაფერი ჰქონია.

„პფლ-ის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე მსაჯთა დამნიშნავმა კომისიამ მიიჩნია, რომ განსახილველი საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია ინტენსიური კონსულტაციების გამართვა ყველა კლუბთან, რათა განისაზღვროს საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების მატჩებზე მსაჯების დანიშვნის საუკეთესო მოდელი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების მსაჯთა დამნიშნავი კომისია მიესალმება ნებისმიერ წინადადებას, რომელიც სასიკეთოდ წაადგება ქართულ ფეხბურთს“.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თასის საამსეზონო გათამაშებისას მსაჯებს ისევ ძველი პრინციპით დანიშნავენ.

# სიონი ახალ სამეულს დღეს ათამაშებს

**საქართველოს** ჩემპიონატის დღევანდელი ტურის წინ ქვეყნის ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ კიდევ სამი ფეხბურთელით გაძლიერდა. მცველები სერგო ორბელაძე და ლევან სილაგაძე და ნახევარმცველი ვიტალი დარასელია თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა დღეს „ვიტ ჯორჯიასთან“ ითამაშებენ.

რუსთავის „ოლიმპთან“ წინა ტურის მატჩი სილაგაძემ ტრავმის გამო გამოტოვა, დარასელიას გათავისუფლების ფურცელი „სიონმა“ ყარაგანდის „შახტიორიდან“ იმ შეხვედრამდე ერთი საათით ადრე მიიღო და ჩემპიონატის განაცხადში მისი შეყვანა ვერ მოასწრო, ორბელაძის თაობაზე კი ბოლნისელებს თბილისის „დინამოსთან“ ჰქონდათ მოლაპარაკება, ვინაიდან ფეხბურთელი სწორეთ თბილისელებს ეკუთვნოდა...

ახლა სამივე ფეხბურთელის პრობლემა მოგვარდა: სილაგაძემ ტრავმა მოიშუშა, დარასელია ჩემპიონატის განაცხადშია, ორბელაძე კი „დინამომ“ გაათავისუფლა. ბოლნისელებს ერთი მცირე საქმე უკრაინულ „ილიჩოვეცთან“ დარჩათ, ორბელაძის განაცხადში შესაყვანად „სიონს“ უკრაინელთა თანხმობაც სჭირდება — „დინამოს“ ეს ფეხბურთელი სწორედ „ილიჩოვეცში“ ჰყავდა განათხოვრებული. უკრაინელებს საქართველოში ორბელაძის თამაშისთვის ყველა საჭირო საბუთი გუშინ უნდა გამოეგზავნათ. ამ სამი ფეხბურთელის დამატებით „სიონი“ ჩემპიონობის მაძიებელი გუნდებისთვის უფრო საშიში იქნება. „ოლიმპითან“ წაგების შემდეგ ძალიან საეჭვოა, ბოლნისელებმა ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნონ, თუმცა ცალი ფეხით უკვე საქართველოს თასის ნახევარფინალში კი არიან. „ჩიხურასთან“ სტუმრად მოგებული 3:2 არა გვგონია, კახა ცხადაძის გუნდმა შინ გაფლანგოს.

**ჭოზა ინასარიძე**

# კახა მჟავანაძე ანჟის უბრუნდება

**ერთ-ერთი** უკრაინული ვებგვერდის ცნობით, კახა მჟავანაძე რუსეთის პირველდივიზიონელ მახაჩყალის „ანჟის“ უბრუნდება. საქართველოს ნაკრების ერთ დროს უცვლელი მარჯვენა მცველი ოდესის „ჩერნომორეცმა“ ტრანსფერზე დააყენა, თანაც ისე, რომ შავიზღვისპირელთა მწვრთნელ სიმიონ ალტმანს მიზეზი არ უთქვამს. უბრალოდ, მან განაცხადა, მჟავანაძე და გიორგი შაშიაშვილი მეორე წრეში „ჩერნომორეცში“ არ ითამაშებენო.



27 წლის მჟავანაძე შარშან ამ დროს სწორედ „ანჟიდან“ გადავიდა ოდესურ კლუბში და თითქმის მუდმივად ძირითადში ხვდებოდა, თუმც სეზონისწინა თურქულ შეკრებაზე ალტმანმა მასზე გული აიყარა.

„მჟავანაძის გადაბირება „ანჟის“ მწვრთნელ ომარ თეთრაძეს სურს, რომელიც თავისი თანამემამულის შესაძლებლობებს კარგად იცნობს“ — წერია უკრაინულ ვებგვერდში.

მახაჩყალელები კახას შეიძენენ თუ იჯარით აიყვანენ, ჯერჯერობით უცნობია. ამასობაში თეთრაძის გუნდმა ასევე რუსეთის პირველდივიზიონელ „ურალთან“ ამხანაგური მატჩი 0:2 დათმო.

დაღესტნელთაგან გოჩა ხოჯავა ძირითადში იყო, 65 წუთი ითამაშა და ერთი საგოლე მომენტიც გააცუდა. 21 წლის ხოჯავა თეთრაძეს ძალიან მოსწონს, მასთან კონტრაქტის გაფორმებას მცირე დეტალებიღა აკლია.

**ილია ნანოზაშვილი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# ალექს მაკლიშმა ოკონორი შეიწყალა

**შოტლანდიის** ნაკრების თავკაცმა ალექს მაკლიშმა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდ გარი ოკონორს გუნდში დაბრუნების შანსი მისცა. 23 წლის ოკონორი შარშან ევროშესარჩევის მატჩში სტუმრად უკრაინასთან ნაკრებში არ გამოცხადდა და ერთი კვირის მერეღა მოიხადა ბოდიში, ოჯახური პრობლემები მქონდაო.



„გარის ტალანტად ვთვლი და მისი კარიერის დანგრევა არ მინდა. ოკონორის პრობლემებს ადამიანური თვალით უნდა შევხედოთ, თუმცა მსგავსი შემთხვევები აღარ უნდა გამეორდეს. გარიმ იცის, რომ ეს მისი ბოლო შანსია“ — განაცხადა მაკლიშმა.

მართალია, ოკონორი ნაკრებში დააბრუნეს, მაგრამ საეჭვოა, 24 მარტს საქართველოსთან ითამაშოს — ტრავმა აწუხებს.

**ილია ნანოზაშვილი**

# კანკავა დანომრეს და დაჯავშნეს



**მიუხედავად** მძაფრი კონკურენციისა, დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ ახალწვეულ ჯაბა კანკავას განახლებული სეზონისთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაჯავშნული აქვს.

„დნიპროს“ მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა ჟურნალისტების კითხვაზე, ძირითად შემადგენლობაში ახალწვეულებიდან ვის აქვს გარანტირებული ადგილიო, მოკლედ უპასუხა: „დენისოვს და კანკავას“.

ამასობაში „დნიპრომ“ ახალწვეულები უკვე დანომრა, ჩვენებურს 20-ნომრიანი მაისურა შეხვდა.

პროტასოვისგან განსხვავებით, მეორე ეტაპს ნირწამხდარი ხვდება კიევის „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ზავაროვი:

„სერგეი ზაკარლიუკა ტრავმის გამო თვენახევარი გამოგვაკლდა, ასევე ბევრი გაუცდა ლაშა ჯაკობიასაც, თუმც მისი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო საიმედო ხდება“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ცოცხალი ვარ, ცოცხალი!



საავადმყოფოდან გამოწერილი ხუანდე რამოსი „სევილიას" ვარჯიშზე ფოტორეპორტიორთა თანხლებით მივიდა

AFP



AFP

## ნაბოთლარი თავი ვარჯიშზე გამოჩნდა
## სარაგოსაში ბარსელონასაც ესროლეს

**„სევილიას"** მწვრთნელი ხუანდე რამოსი ცოცხალია და იმის მიუხედავად, რომ აუკრძალეს, გუშინ გუნდის ვარჯიშსაც კი დაესწრო. ექიმმა კი ურჩია, 48 საათი დაესვენა.

საბოლოოდ გაირკვა, რომ „ბეტის" — „სევილიას" სათასო მატჩის 58-ე წუთზე ხუანდე რამოსს წყლით სავსე ორლიტრიანი ბოთლი მოხვდა თავში და გონებადაკარგული დაეცა მოედანზე. მწვრთნელი ფრედერიკ კანუტის გოლს ზარობდა, მაგრამ სიხარული ჩაუმწარდა. იგი ჰოსპიტალში გააქანეს და ეჭვობდნენ, ტვინის შერყევა ხომ არ დაემართაო, მაგრამ იოლად გადარჩა.

ჯერჯერობით ვერ დაადგინეს იმ ვაი-ფანის ვინაობა, ვინც ბოთლი ისროლა, მაგრამ ცნობილია ერთი — ისროლეს იმ ტრიბუნიდან, საიდანაც მთელი თამაშის განმავლობაში ისმოდა: „სიკვდილი რამოსს!"

ხუანდე რამოსი „ბეტისის" ყოფილი მწვრთნელია. ამ ორი გუნდის ისტორიულ ომზე კი აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

„სევილიას" ექიმმა ადოლფ მუნიოსმა მთელი ღამე მწვრთნელის გვერდით გაატარა, რომელიც დილით გონს მოვიდა და ბოთლის მოხვედრის მერე ვერაფერს იხსენებდა.

ჰოსპიტალიდან გამოსულმა რამოსმა განაცხადა: ვიღაც ერთი გიჟის გამო ამ ამბავში „ბეტისის" ქომაგებს ნუ გავსვრით. არავინ იცის, სად როდის რა მოხდება, მით უმეტეს, ასეთი გუნდების მატჩში: ჩვენივე ბრალია, რადგან თამაშამდე დავძაბეთ ურთიერთობა და ცეცხლს ნავთი დავუმატეთ. უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი მატჩების წინ სიტყვებით თამაში სახიფათოა."

ისედაც სამტროდ გადაკიდებული გუნდების ურთიერთობა ამას წინათ მომხდარმა ამბავმა კიდევ უფრო დაძაბა. „სევილიას" პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ „ბეტისის" ერთ-ერთ ჩინოვნიკზე თქვა, ლოთის სიფათი აქვსო. ამის გამო „ბეტისი" აპირებდა, დელ ნიდოსთვის სტადიონზე შესვლა სამუდამოდ აეკრძალა. ანდალუზიის რეგიონალური მთავრობის ჩარევით, პრეზიდენტი დაუშვეს სტადიონზე, მაგრამ გააფთრებული გულშემატკივრებისგან ნასროლი ერთ-ერთი ბოთლი მასაც მოხვდა ცხვირში.

„ჩვენ ყველას ნუ განვსჯით და დამნაშავე მოვძებნოთ. მსგავსი რამ ნებისმიერ სტადიონზე შეიძლება მოხდეს. ათიათასობით ქომაგი მოდის, მაგრამ ათი მათგანი შეშლილია და მათი გამოვლენა და დასჯა გვმართებს" — თქვა დელ ნიდომ.

ესპანეთის სპორტის მინისტრმა ხაიმე ლიზავეცკიმ ორივე მხარე დაადანაშაულა: „ეს ხომ სამარცხვინოა. ორივე კლუბის ჩინოვნიკები თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე კონფლიქტს აღვივებდნენ თავიანთი უგუნური გამონათქვამებით და მაშინვე ცხადი გახდა, რომ მატჩი მშვიდობიანად არ ჩამთავრდებოდა."

როგორც წესი, ესპანეთის ფეხბურთის ასოციაცია ასე შეწყვეტილ მატჩებს იმ წუთიდან აგრძელებს, რომელზეც თამაში ჩაიშალა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ მოხდება.

„დამნაშავეები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ და ამას ჩვენ გავაკონტროლებთ" — აღნიშნა ლიზავეცკიმ.

„ბეტისს" 0:3 წაგება ჩაეთვლება და, ესპანური მედიის ვერსიით, 12 საშინაო შეხვედრას უმაყურებლოდ ჩაატარებს.

ჯერ კიდევ 1999 წელს „სევილიას" სტადიონზე ანდალუზიურ დერბიში „ბეტისის" ფეხბურთელ ბენიამინს დანა ესროლეს ტრიბუნიდან. ორი წლის შემდეგ სევილიელი ფანი მოედანზე გადახტა, მეტოქე ტინი პრატსის საცემად და იმავე მატჩში ერთი პოლიციელი დაშავდა, რომელსაც მავანმა ფანმა ჯოხი ურტყა.

დაბოლოს: ბოთლი „სარაგოსა" — „ბარსელონას" შეხვედრაშიც იყო. სტუმართა მეკარე ხორკერას თამაშის დასასრულს ასევე სითხით სავსე ბოთლი ესროლეს, ხოლო „ბარსას" ავტობუსი სარაგოსელმა ქომაგებმა გვარიანად დაზიანეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**თასის მეოთხედფინალი**
**საპასუხო მატჩები**

**ოსასუნა 1:0 *ხეტაფე*** (0:3)
1:0 რომეო (15)

**ვალიადოლიდი 1:1 *დეპორტივო*** (1:4)
0:1 ფილიპე (33), 1:1 მანჩევი (85)

**სარაგოსა 1:2 *ბარსელონა*** (1:0)
0:1 ხავი (18), 0:2 ინიესტა (26), 1:2 პიკე (71)

**ბეტისი — სევილია** (0:0)
*ჩაიშალა*

# ახალი ვარცხნილობით სპაიდერმენთან



**ვიქტორია ბექემმა** თმა ყვითლად შეიღება, ზედ ახალი ვარცხნილობაც დაამატა, ლოს ანჯელესი მოიარა და ლონდონში დაბრუნდა, საიდანაც მადრიდში აპირებს ჩაფრენას — კვირას მისი უფროსი ვაჟის ბრუკლინის მერვე დაბადების დღეა. მოკლედ, დედა ოჯახში ბრუნდება, თუმცა ის არც ამერიკაში ყოფილა უქმად, სახლს ეძებდა. საქმე ის გახლავთ, რომ მისი მეუღლე, დევიდი, ზაფხულის დადგომასთან ერთად მადრიდის „რეალიდან" „ლოს ანჯელეს გალაქსიში" გადაბარგდება და ცოლ-შვილსაც იახლებს.

„სახლისა ჯერ ვერაფერი გადავწყვიტე — უთხრა „პოშმა" ჟურნალისტებს — რამდენიმე ვარიანტი შევარჩიე, მაგრამ ისეთი ფული ჯდება, სანამ კარგად არ ავწონ-დავწონი, ვერაფერს ვიტყვი. თან დევიდი ვერ დამეხმარა, მან ლოს ანჯელესში წამოსასვლელად დრო ვერ გამონახა და ესეც დაბრკოლება გახლდათ".

სხვათა შორის, ვიქტორია ამერიკაში დიასახლისად დაჯდომას არ აპირებს. ის ერთ-ერთ იქაურ ტელეარხს რეალითი შოუს პროექტზე ესაუბრება და არ არის გამორიცხული, ამ შოუს წამყვანი გახდეს.

„ეს შოუ ადრინდელებისგან განსხვავებული რამ იქნება" — თქვა ადამს-ბექემმა.

კიდევ რას აკეთებდა დევიდ-მადრიდელის მეუღლე ლოს ანჯელესში? რასაკვირველია, „ოსკარის" დაჯილდოვების ცერემონიალს დაესწრო...

„ოსკარზე რომ ვიყავი, შინ დავრეკე, ჩემს მეორე ვაჟს რომეოს დაველაპარაკე და ვუთხარი, რომ სპაიდერმენს შევხვდი. ჩემი შვილები მას ეთაყვანებიან".

და მაინც, როგორ უნდა გადაუხადოს ამერიკიდან დაბრუნებულმა დედიკომ უფროს ბიჭს დღეობა?

„ბრუკლინს ჰარდ-როკის კაფეში უნდა წასვლა. მასაც წავიყვან და მის 25 მეგობარსაც".

თუმცა, მოდით, ისევ იმაზე ვილაპარაკოთ, რითაც დავიწყეთ — ვარცხნილობაზე.

„ძალიან მომწონს ჩემი ახალი ვარცხნილობა. ასეთ თმაში გაზაფხული იგრძნობა. ნეტავ, მართალია, რომ ამბობენ, ქერა ქალები უფრო მხიარულები არიანო? ვფიქრობ, გარეგნობაზე კალიფორნიამაც დამასვა დაღი. იქაური მზით ვარ ნაკბენი. პარიკმახერთან ჯდომამ კი მთელი დღე წაიღო. ამ ხნის განმავლობაში დევიდს სულ ვუგზავნიდი სურათებს და ვეკითხებოდი, მოსწონს თუ არა ჩემი ახალი ვარცხნილობა".

**ბაჩუნა ძიძია**

## სატრანსფერო სოუსი

**„ვალენსია"** ცდილობს, მიუნხენის „ბაიერნს" დაასწროს და არგენტინული „ესტუდიანტესის" ნახევარმცველი ხოსე ერნესტო სოსა შეიძინოს. „დიარიოს" ინფორმაციით, ვალენსიელთა სპორტული დირექტორი ამადეო კარბონი ორშაბათს ბუენოს აირესში ჩაბრძანდა და კლუბს ოფიციალურად შესთავაზა გარიგება. არადა, „ბაიერნი" უკვე მორიგებული იყო „ესტუდიანტესთან" 10 მილიონი 500 ათას ევროზე — ფეხბურთელს ხუთწლიან კონტრაქტს და 3 მილიონი 500 ათასს სთავაზობდა. სოსას თანხა ეცოტავა და ჯამაგირზე ერთი მილიონის დამატება ითხოვა. ამის შესახებ ფრანც ბეკენბაუერს რომ შეუტყვია, მოლაპარაკების შეჩერება უბრძანებია. „ვალენსია" კი ალბათ 21 წლის ნახევარმცველს უფრო მეტ ხელფასს ჰპირდება.

## ბაშთურქს ბერლინი მოსწყინდა

**ბერლინის** „ჰერტას" თურქ ნახევარმცველ ილდირაი ბაშთურქს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და გუნდიდან აბარგება სურს. მისით დაინტერესებულია რამდენიმე ბუნდესლიგური კლუბი და პრემიერლიგის „ტოტენჰემი", რომელიც შარშანაც ცდილობდა თურქის გადაბირებას.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ინგლისი

**ასოციაციის თასი**
**1/8 ფინალი. გადათამაშება**

***ბლექბერნი* 1:0 არსენალი**
1:0 მაკკარტი (87)
***ზურაბ ხიზანიშვილმა***
*მეორე ტაიმი ითამაშა*

### საფრანგეთი

**თასის მეოთხედფინალი**

***მონაკო* 1:0 ლანსი**
1:0 ალიდორი (783)

***სოშო* 2:1 პსჟ**
1:0 იზაბეი (23), 2:0 დაგანო (38), 2:1 ნგოგი (74)

### გერმანია

**თასის მეოთხედფინალი**

***შტუტგარტი* 2:0 ჰერტა**
1:0 კაკაუ (38), 2:0 ჰიცლშპერგერი (77)









# აბა, პახმელიაზე იყო?!

## ჩაწიხლული ტერი ისევ შეუძლოდაა

საზოგადოებისთვის ახლაღა გახდა ცნობილი, რომ კვირას, „კარლინგის თასის“ ფინალის ერთ-ერთ ეპიზოდში თავში მოხვედრილმა წიხლმა ჯონ ტერის ტკივილები და თავბრუსხვევა დაუტოვა. „ჩელსის“ კაპიტანი მთელი 72 საათის განმავლობაში ცუდად ყოფილა, რაც ქომაგთათვის აქამდე უცნობი იყო...

გარედან დამკვირვებელთათვის ამბავს მძიმე დასაწყისი, მაგრამ სწრაფი „ჰეფი ენდი“ ჰქონდა: კარდიფის „მილენიუმ სტედიუმზე“ ტერისა და არსენალელი აბუ დიაბის ორთაბრძოლა თავში წიხლით დასრულდა. ეს შუადღის 16 საათსა და 19 წუთზე მოხდა. ტერი გონებადაკარგული დაეზღერთა, სუნთქვა შეწყვიტა და გალურჯდა.

26 წლის ვარსკვლავი ადგილზე ჩატარებული პირველი დახმარების შემდეგ საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ სკანერმა არანაირი დაზიანება არ აჩვენა და გონსმოსული ფეხბურთელი სტადიონზე დაბრუნდა. ტერი სტადიონზე 17 საათსა და 58 წუთზე მივიდა. 19 საათზე კაპიტანი ჯილდოთი ხელში გადაიღეს, შემდეგ კი მთელი გუნდი კარდიფიდან ლონდონში დაბრუნდა და ერთ-ერთ ღამის კლუბში „ჩაუჯდა“. დილის სამ საათამდე გამართულ დროსტარებას არც ტერი გამორჩენია.

მეორე შუადღისას კი ჯონ ტერის ძლიერი თავის ტკივილები, გულისრევა და თავბრუსხვევა დაეწყო. ამის შესახებ ფეხბურთელმა „ჩელსის“ ექიმ ბრაიან ინგლიშს უთხრა, რომელმაც ახალი გამოკვლევის ჩასატარებლად წაიყვანა.

ტყუპების მამას ექიმებმა ხელახლა გადაატარეს თავზე სკანერის ჩამჩა, ორი საათის განმავლობაში ყველა მხრიდან მიუდგნენ წიხლით დაზიანებულ ტვინს, მაგრამ ვერანაირი სიმსივნე და კოლტი ვერ ნახეს. ამის მიუხედავად, ვარსკვლავი ნევროლოგთანაც გააქანეს. ეს ის ნევროლოგია, რომელმაც შარშან ოქტომბერში „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხს უმკურნალა. დაზიანება ვერც ამ პატივცემულმა ესკულაპმა ნახა, მაგრამ კაპიტანი თანაგუნდელებს „პორტსმუთთან“ მაინც ვერ დაეხმარება.

სჯობს, მოერიდოსო...

**პაპუნა ძედია**

# არსენს ალი აუვიდა


AFP

**ოთხ** დღეში ორი კოშმარი... არსენ ვენგერი სიბრაზისგან ლამის აფეთქდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ბლექბერნისა“ და „არსენალის“ მეხუთე რაუნდის საპასუხო შეხვედრა ბენი მაკარტის ლამაზი დარტყმით დამთავრდა და ლონდონელების მწვრთნელი ისე გადარია, რომ მატჩის შემდეგ ის ზემოხსენებული ასოციაცია თავის მსაჯ-თანამსაჯებიანად ერთიანად გამოთათხა.

თურმე ნუ იტყვით და, ფრანგ მწვრთნელს ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია კვირას „ჩელსისთან“ „კარლინგის“ თასის ფინალში წაგება.

წარმოიდგინეთ, კაცი ოთხშაბათს „ბლექბერნთან“ დამარცხდა და ჟურნალისტებს უთხრა, კვირას ემანუელ ადებაიორს ფრენკ ლამპარდისთვის ხელი არ უკრავს, ეგ სულ ლაინსმენის გამოგონებული ამბავი იყო, ფეხბურთელი ტყუილად გამიძევესო.

სხვათა შორის, ვენგერი ლამპარდს ინგლისური პატიოსნებისკენ, სხვა სიტყვებით კი, საჯაროდ გამოსვლისა და იმის აღიარებისკენ მოუწოდებს, რომ ჯარიმა, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ, ჯარიმა არ იყო.

რა ჩანს ვიდეოჩანაწერში? ის, რომ მსაჯი ჰოვარდ ვები თანამსაჯ დევიდ ბაბსკისთან მივიდა და, სანამ ადებაიორს წითელს აუფრიალებდა, კარგა ხანს ეთათბირა. ისე, ადებაიორიც კარგა ხანს ეჩხუბა და ეჯიჯღინა ბაბსკის, მაგრამ მაინც გააძევეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში „ჩელსისა“ და „არსენალის“ ფეხბურთელებმა — ჯამში დაახლოებით ოცმა კაცმა — ჯგუფური მუშტი-კრივი გამართეს და ამ „მხიარულებისთვის“ არსენ ვენგერის სამი ქვეშევრდომი, კოლო ტურე, ადებაიორი და ემანუელ ებუ დაისაჯა.

ვენგერი: „სამი ან ოთხი თამაშით ფეხბურთელები დაგვაკარგვინეს, ისეთები, რომელთაც დღეს უნდა ეთამაშათ. ის, რაც თანამსაჯს მატჩის მოხსენებაში უწერია, ტყუილია, მტკნარი ტყუილი. მაგალითად, თანამსაჯი ამბობს, რომ ადებაიორმა ლამპარდს ხელი ჰკრა. გამოვიდეს ლამპარდი და საჯაროდ თქვას, რომ მართლა ასე იყო. თუ იტყვის, გავჩუმდები. პირადად მე ვამტკიცებ, რომ ადებაიორს თითი არავისთვის დაუკარებია. ლაინსმენი იტყუება. ეგ ეპიზოდი მიკროსკოპის ქვეშ გავატარეთ, უამრავჯერ გადავახვიეთ და გადმოვახვიეთ და ხელის კვრის მაგვარი ვერაფერი ვნახეთ. ახლა იმასაც კი ამბობენ, რომ ჩხუბის დროს მოედანზე 20 კაცი მარტო არსენალელი იყო. ეს ტყუილია“.

რაც შეეხება „ბლექბერნს“, რომელთანაც „არსენალმა“ ოთხშაბათს წააგო, ფრანგი მწვრთნელი მასზეც ნაწყენია. ჯერ კიდევ პირველი თამაშის შემდეგ შლიდა ვენგერი ხელებს, ეს რა ფეხბურთი ითამაშეს, რა იყოო. იგივეს ამბობს ახლაც:

„დათვალეთ, რა შექმნა „ბლექბერნმა“ მთელი ორი თამაშის განმავლობაში და ნათელი სურათი გექნებათ. ჩვენ ორ მატჩში მომენტს მომენტზე ვანიავებდით, მათ კი 180 წუთში ერთი შესაძლებლობა მიეცათ და გამოიყენეს. მერედა, პირველ შეხვედრაში აშკარაზე აშკარა პენალტი არ დანიშნეს ჩვენ სასარგებლოდ. საერთოდაც, ამ სეზონში, ჩვენთვის არდანიშნული პენალტებისგან კარგი, ხანგრძლივი ვიდეოკლიპი გამოვიდოდა“.

**ბაბუნა ძედია**

## ტოტის ნათელი მომავალი

**„კიევოსთან“** მატჩის შემდეგ „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ ჟურნალისტებს სამომავლო გეგმები გაუმხილა: „კარიერის დასრულების შემდეგ არც მწვრთნელობას ვაპირებ და არც მიშელ პლატინივით ჩინოვნიკობას. ზუსტად ვიცი, რომ კლუბის ხელმძღვანელობაში ადგილს მომინახავენ. რაც შეეხება საჩემპიონო შანსებს, ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, მაგრამ „ინტერს“ ვერ დავეწევით. თუმც, ვფიქრობ, არც მეორე ადგილია ურიგო“.

## შენ წაეთრევი!

**„ვესტ ჰემის“** მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ და მცველმა ენტონი ფერდინანდმა გასახდელში ერთმანეთს უღრიალეს. ეს ამბავი შაბათს, „ჩარლტონთან“ 0:4 მარცხის მერე მოხდა. წაგებით გაბრაზებულმა კერბიშლიმ ფეხბურთელებს უთხრა, ბევრ მათგანს სეზონის ბოლოს გავაგდებო, ფერდინანდმა კი მიუგო, გვარები დაასახელეო. მწვრთნელის პასუხი მოკლე იყო: „შენ!“

ამის შემდეგ კერბიშლი გასახდელიდან გამოსულა...

## ვან ნისტელროი: ეს ფეხბურთია?!

**„დიარიოსპორტთან“** საუბარში რუუდ ვან ნისტელროიმ დაიჩივლა, რომ მობეზრდა „რეალის“ გარშემო ატეხილი დაუსრულებელი აურზაური და ფაბიო კაპელოს მკაცრი ტაქტიკური სქემების ათვისება.

ვან ნისტელროიმ პირველ წრეში რვა გოლი გაიტანა, კარგად დაიწყო, მაგრამ იანვრიდან მოყოლებული 13 შეხვედრაში სამზე მეტი ველარ შეაგდო. ჰოლანდიელის თქმით, გოლების მიუხედავად, ვერც საკუთარი თამაშით იღებს სიამოვნებას და ვერც „რეალის“ ფეხბურთით.

ვან ნისტელროი ინგლისში დაბრუნებაზე ფიქრობს და თუ არ გამოუვიდა, ბოლო ვარიანტი „პსვ ეინდჰოვენია“, საიდანაც, თავის დროზე, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა.

## ვან ბომელს ხელი დააფარეს

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ჰოლანდიელი ლეგიონერი მარკ ვან ბომელი 6 200 ევრო ჯარიმას გადაიხდის იმის გამო, რაც „რეალთან“ მატჩში გააკეთა. მადრიდში მან გოლი გაიტანა, იქაურ ფანებს კი უხამსი ჟესტი აჩვენა. გარდა ამისა, სადისციპლინო კომიტეტმა წლის ბოლომდე პირობითი, დისკვალიფიკაცია გამოუწერა და საყმაწვილო ტურნირებზე სამართლიანი თამაშის პროპაგანდა მიუსაჯა.

**ვაჟა ხუციშვილი**





AFP

# გალიანის თავში აუვარდა

## პალერმოს ხელმძღვანელს მილანის ხელმძღვანელი შემოელანძღა

**„პალერმოს"** პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი გამოლანძღა.

როგორც ირკვევა, სიცილიელთა დირექტორს რინო ფოსკის „პალერმო" — „მილანის" უგოლო მატჩის შემდეგ გალიანისთან გასაუბრება უნდოდა, მაგრამ...

„გალიანიზე ძალიან გაბრაზებული ვარ. მატჩის მერე ფოსკის მასთან გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ იგი ცუდად მოიქცა. გალიანიმ ფოსკის უყვირა, შენ და შენი პრეზიდენტი ფეხბურთის კაცები არ ხართო. ასეთ საქციელს და ფრაზებს ვერ შევეგუები, აღშფოთებული ვარ. იმედი მქონდა, რომ კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ გალიანი ცოტათი მაინც შეიცვალა, მაგრამ ასე არ არის. ნეტავ, თავი ვინ ჰგონია?" — განაცხადა ძამპარინიმ.

სავარაუდოდ, გალიანი მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ძამპარინის კომენტარებმა გააღიზიანა. სიცილიელთა პრეზიდენტმა განაცხადა, „პალერმო" — „მილანის" შეხვედრაზე ტრეფოლონიზე უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის მსაჯი უნდა დაენიშნათო.

„დარწმუნებული ვარ, „მილანის" ხელმძღვანელები ჩემ წინააღმდეგ არიან. ისინი შანსს არ უშვებენ, რათა „დამსაჯონ" იმისთვის, რაც გავაკეთე ან ვთქვი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვენდეტა სწყურიათ" — დასძინა ძამპარინიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ორმაგი წუწუნი

## ინტერი უდინეზეში ორჯერ ჩავარდა

**მილანის** „ინტერმა" მიმდინარე სერია A-ში მხოლოდ 4 მატჩი ვერ მოიგო და აქედან ორი „უდინეზესთან". 2006 წლის 22 ოქტომბერს „ფრიულიზე" ამ კლუბებს შორის მატჩი უგოლოდ მორჩა. მას მერე „ნეროაძურიმ" ჩემპიონატში მიჯრით 17 თამაში მოიგო, მაგრამ რობერტო მანჩინის გუნდის ეს სარეკორდო სვლა კვირას „სან სიროზე" იმავ უდინელებმა შეწყვიტეს.

ამ საინტერესო და დაძაბულ მატჩში გოლები მეორე ტაიმში გავიდა. 47-ე წუთზე ანტონიო დი ნატალეს კუთხურს კრისტიან ობოდოს საკმაოდ ეფექტური გოლი მოჰყვა და ალბერტო მალეზანის გუნდი დაწინაურდა. 66-ეზე კი შეცვლაზე 5 წუთის შესულ მაქსველის ჩაწოდებულს პირველ ტაიმში დაშავებული ადრიანოს ნაცვლად გამოსულმა ერნან კრესპომ შეაგება თავი და 1:1. ეს არგენტინელის კარიერაში „უდინეზესთვის" გატანილი მე-15 გოლი იყო.

დარჩენილ დროში მომენტები ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა.

რობერტო მანჩინი: „ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა. ყოველთვის ვერ მოიგებ. ჩვენს ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ვერ ვიტყვი, რომ შედეგით უკმაყოფილო ვარ. მოგეხსენებათ, ტრავმების გამო პატრიკ ვიეირა და ესტებან კამბიასო გვაკლდნენ. დეიან სტანკოვიჩი დისკვალიფიცირებული იყო, ხოლო ადრიანო მატჩის მსვლელობისას დაშავდა. პირველ ტაიმში ცოტა პასიურად გამოვიყურებოდით და სა[illegible]ლდა. თუმცა ასეთი რამეები ხდება, როცა ხშირ-ხშირად გიწევს თამაში, მუდამ საუკეთესო ფორმაში ვერ იქნები. მეორე ნახევარში ჩვენი მთავარი პრობლემა მომენტების გამოუყენებლობა გახლდათ. ძალიან კარგია, რომ „რომამაც" ვერ მოიგო და დედაქალაქელებთან 14-ქულიანი სხვაობა შევინარჩუნეთ".

„სწორედ ასე უნდა გვეთამაშა, რათა „ინტერი" შეგვეჩერებინა და შანსები რომ გამოგვეყენებინა, მოვიგებდით კიდეც. სამწუხაროდ, ისეთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელების გარეშე მოგვიხდა თამაში, როგორებიც ვინჩენცო იაკინტა და პაულო ბარეტო არიან. მატჩის მიწურულს დაღლილობა დაგვეტყო და ფორვარდების დასვენება გადავწყვიტე. ანტონიო დი ნატალე გადაღლილი იყო, ხოლო გიან ასამოა ბოლომდე ჯანმრთელი არ გახლდათ. ისინი შევცვალე, მომავალ მატჩებზეც ხომ უნდა მეფიქრა. რაც შეეხება ტაქტიკას, ჯამპაოლო პაცი და სულეი ალი მუნტარი ცენტრალურ ნახევარმცველებად ვათამაშე. ობოდოს კი მეტი თავისუფლება მივეცი და თავდამსხმელების უკან გავამწესე. მერე ანდრეა კოდა მარჯვნივ გადავწიე, კრისტიან ზაპატა კი მარცხნივ. ამ ყველაფერმა გაამართლა. ჩემს წინამორბედ ჯოვანი გალეონეს პატივს ვცემ, მას ცუდი სამუშაო არ ჩაუტარებია. თუმცა რამდენიმე რევოლუციური ცვლილება აუცილებელი იყო" — განაცხადა მალეზანიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ადრიანო კარგად დაწვა



**მიმდინარე** სეზონში ბრაზილიელ ფორვარდ ადრიანოს პრობლემებს ბოლო აღარ უჩანს. გუშინწინ „იმპერატორი" ისევ დაშავდა, მაგრამ „ინტერის" ექიმების თქმით, სერიოზული არაფერია.

25 წლის ფორვარდს სერია A-ს მომავალი ტურის გამოტოვება მოუწევს, მაგრამ „ვალენსიასთან" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრისთვის მზად იქნება.

რობერტო მანჩინი მიმდინარე სეზონში ბრაზილიელს ისედაც არ სწყალობს და ეს ტრავმა ადრიანოს კიდევ უფრო გაურთულებს საქმეს.

„იგი „ლივორნოსთან" ვერ ითამაშებს, მაგრამ „ვალენსიასთან" შეხვედრისთვის მზად იქნება. ტრავმა სერიოზული არ არის და კარგია, რომ როცა ადრიანომ ტკივილი იგრძნო, მაშინვე შეწყვიტა სირბილი და მინდორზე დაწვა" — თქვა „ინტერის" ექიმმა დანიელე კომბიმ.

**ძოძი ძანდელაძი**

# პეპე შუაში და მარჯვნივ

**იტალიური** მედიის ცნობით, „იუვენტუსმა" „პორტუს" მცველ პეპეს ტურინში გადასვლა შესთავაზა. პეპეს სრული სახელია კლეპერ ლავერან ლიმა ფერეირა.

მიუხედავად იმისა, რომ „იუვემ" ამ სეზონში ოდენ 15 გოლი გაუშვა, მაინც აპირებს დაცვის გაძლიერებას. 24 წლის პეპეს ცენტრშიც შეუძლია თამაში და მარჯვენა ფლანგზეც.

# კაკას ორი კიჭი უნდა

**რონალდინიოს** „მილანში" შესაძლო გადასვლაზე მითქმა-მოთქმა გრძელდება და „როსონერის" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა კაკამ კიდევ ერთხელ უხმო ბარსელონელ თანამემამულეს „სან სიროზე".

„თუ რონალდინიო ზაფხულში „ბარსადან" წასვლაზე იფიქრებს, იმედია, „მილანში" გადმოვა. ფეხბურთი ციკლებად იყოფა — ბოლო სამი წელია, კატალონიელები ევროპაში საუკეთესონი არიან და მათ პიკს უკვე მიაღწიეს. არ ვიცი, როგორ ჩაამთავრებს „ბარსელონა" ამ სეზონს, მაგრამ მწვერვალზე დარჩენა ძალიან ძნელია, თან მასზე ასვლას სხვა ბევრი კლუბი ლამობს" — რიტორიკულად განმარტა კაკამ.

იანვარში „შავ-წითლებმა" ერთი ბრაზილიელი ვარსკვლავი, რონალდო იყიდეს.

25 წლის პლეიმეიკერს აზრი „კიჭაზეც" ჰკითხეს...

კაკა: „ყველანი კმაყოფილები ვართ, რომ იგი „მილანშია". როცა ხალხი მას აკრიტიკებდა და გასუქებას აბრალებდა, რონალდოსთან ერთად ეროვნულ ნაკრებში ვიყავი და მაშინაც აღფრთოვანებული გახლდით მისი თამაშით".

კაკას კომენტარი კიდევ ერთ თვისტომზე, ადრიანოზე სთხოვეს. „იმპერატორი" დისციპლინას ხშირად არღვევს და „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში ამ სეზონში ხშირად ვერ ხვდება...

„ადრიანოს დროსტარება უყვარს, მაგრამ მან უნდა ისწავლოს, რისი გაკეთება შეუძლია და რისი არა. არ მაქვს უფლება, ვინმეს ცხოვრებაში ჩავერიო, ან ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების სტილი სწორია, ხოლო სხვისი არა. თუმცა ვიცი, რომ ფეხბურთელისთვის ლიმიტები არსებობს, რომელთა დარღვევაც არ შეიძლება" — დასძინა ბრაზილიელმა.

ოთხშაბათს „პალერმოსთან" უგოლოდ დასრულებულ მატჩში კაკამ პენალტი გააფუჭა და კიდევ ერთი მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ „როსონერის" თავკაცი კარლო ანჩელოტი მისი თამაშით მაინც კმაყოფილი დარჩა...

„მან პირველი ტაიმი ჩინებულად ჩაატარა, „მილანში" აქამდე ასე არ ეთამაშა. იგი თამაშს კარგად კითხულობდა და მომენტებსაც ქმნიდა. კაკას პენალტი ყოველთვის გააქვს, მაგრამ იმ დღეს არ გაუმართლა. თუმცა ვფიქრობ, თერთმეტმეტრიანებს ისევ ის შეასრულებს ხოლმე. იყო თუ არა პენალტი? ამას მნიშვნელობაც აღარ აქვს, ალბერტო ფონტანამ ხომ იგი აილო. მატჩის შედეგით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ბიჭები კარგად გაისარჯნენ, განსაკუთრებით პირველ ნახევარში" — თქვა კარლიტომ.

**გიორგი ძაძაბაძე**





AFP



# შალკე ჩვენს მოკვლას ეცდება!

## ვან დერ ვაარტს შინ მკაცრი მსაჯი ჰყავს

გერმანიის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა „ჰამბურგმა" თვალებში გამოიხედა და ბოლო თამაშებია, ქულებს აგროვებს. შედეგად, ჰამბურგელებმა ბუნდესლიგიდან გასავარდნ ზონას თავი დააღწიეს.

„ბილდი" „ჰამბურგის" კაპიტანს, ჰოლანდიელ რაფაელ ვან დერ ვაარტს ესაუბრა...

— „ჰამბურგმა" ამ ბოლო დროს კარგი ტემპი აკრიფა და ზედიზედ სამი თამაში მოიგო. „შალკესთანაც" შეძლებთ წარმატების მიღწევას?

— „შალკე" თავიდანვე ეცდება ჩვენს მოკვლას, ამიტომ, რაც შეგვიძლია, უნდა მოვინდომოთ. ასეთი მატჩები ძალიან მსიამოვნებს, რადგან ასეთ მეტოქესთან ასეთ საოცარ სტადიონზე თამაშისას ჩემპიონთა ლიგის შეგრძნება მეუფლება.

— „შალკეს" დისკვალიფიცირებული ლინკოლნი აკლია. ეს თქვენთვის კარგია?

— არანაირად. მის ადგილზე სხვა იქნება — „შალკეს" დონის გუნდს ლინკოლნის შეცვლა არ გაუჭირდება.

— გერმანიაში გადმოსვლისას თავიდან გაგიჭირდათ. ახლა როგორ არის საქმე?

— ორჯერ მქონდა საკმაოდ სერიოზული ტრავმა, ამას გარდა არც პირადული პრობლემები მაკლდა, თუმცა, საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი კარგადაა. შემიძლია ვთქვა, რომ „ჰამბურგში" გადმოსვლით დიდი პროგრესი განვიცადე.

— **პირადულ პრობლემებში რას გულისხმობთ?**

— ჩემს რვა თვის შვილს, დიმანს მძიმე ვირუსული დაავადება ჰქონდა. როცა მეუღლესთან ერთად ჰოსპიტალში ბავშვის საწოლს ხარ მიჯაჭვული, მაშინ სხვა ყველაფერი აზრს კარგავს და მეორე პლანზე გადადის.

— **ძალიან ხშირად გიკავშირებენ დიდ კლუბებს...**

— ვიცი, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ მე „ჰამბურგში" თამაში კიდევ დიდხანს მსურს.

— რა საფეხბურთო ოცნებები გაქვთ?

— მინდა, ოდესმე მსოფლიოს უდიდეს კლუბ მადრიდის „რეალში" ვითამაშო — ეს ჩემი ოცნებაა. დედაჩემი ესპანელია და „რეალში" თამაში ჩემთვის ამიტაცაა საინტერესო.

— 21 თვე გავიდა, რაც სილვიაზე დაქორწინდით. როგორ მიდის თქვენი ოჯახური ცხოვრება?

— ძალიან კარგად, თუმცა სილვიამ უკვე რამდენჯერმე მაჩვენა წითელი ბარათი. წარმოუდგენლად მოუწესრიგებელი ვარ, თითქმის მთელ ბინაში გაბნეულს ვტოვებ ჩემს ტანსაცმელს და ეს ჩემს ცოლს, რა თქმა უნდა, არ მოსწონს...

# სტუდენტ ხუან ვერონს მოსკოვში ეპატიჟებიან



**შესაძლოა,** ხუან სებასტიან ვერონი მოსკოვის „ლოკომოტივში" აღმოჩნდეს.

რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა იხურება და მოსკოველები ალბათ ვერ მოასწრებენ „ესტუდიანტესის" ნახევარმცველთან მორიგებას, მაგრამ „ლოკო" არგენტინელის გადაბირებას ზაფხულში, ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ აპირებს.

ვერონი მოსკოველებს დმიტრი ლოსკოვის შემცვლელად შეუგულებიათ, რომელსაც მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცთან ურთიერთობა წაუხდა. თან უკვე 33 წლისაა და ბიშოვეცს მისი შესაძლებლობისა ეეჭვება.

ხუან ვერონი შარშან წავიდა მილანის „ინტერიდან" „ესტუდიანტესში", სადაც მწვრთნელად დიეგო სიმეონე მუშაობს და არგენტინის ჩემპიონიც გახდა. იგი ნაკრების თავკაც ალფიო ბასილესაც გაახსენდა და ოთხწლიანი შესვენების შემდეგ შეკრებაზე უხმო — გამორიცხული არაა, ამ ზაფხულს „კოპა ამერიკაზეც" ითამაშოს.

თუკი ვერონის ტრანსფერი ვერ მოაკვარახჭინეს, „ლოკომოტივს" სათადარიგო ვარიანტიც აქვს — „ველეს სარსფილდის" შემტევი ნახევარმცველის, 19 წლის მაურო სარატეს შეძენას ეცდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გაუმაძღარი კაჭკაჭი

**ხარბი** და გაუმაძღარი უწოდა ზეპ ბლატერმა „ნიუკასლს", რომელმაც მაიკლ ოუენის ტრავმის საკომპენსაციოდ 6 მილიონი ფუნტი მოითხოვა, ფიფა კი 960 ათასის გადამხდელია.

ოუენი მსოფლიოს ჩემპიონატზე შვედეთთან მატჩისას დაშავდა, მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და მას შემდეგ მკურნალობს.

„მათ 6 მილიონი მოგვთხოვეს. გვითხრეს, რომ ექვსი თვე არ უთამაშია, გოლი არ გაუტანია და კლუბი ხელფასს მაინც უხდის. ჩვენ 960 ათასზე მეტს ვერ მივცემთ. სადაზღვევო ფონდში დაახლოებით 9-10 მილიონი გვაქვს და ფული სხვებსაც სჭირდებათ".

რა თანხაზე მორიგდებიან „კაჭკაჭები" და ფიფა, ამ დღეებში გაირკვევა.

## ამას ყოველდღე ვერ ნახავთ

**მსოფლიოს** ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი რონალდინიო ევროპის ნაკრებში სათამაშოდ გამოიძახეს, რომელიც 12 მარტს „ოლდ ტრაფორდზე" „მანჩესტერს" შეხვდება საქველმოქმედო მატჩში.

„საუცხოო სანახავი იქნება რონალდინიო და დევიდ ბექჰემი ერთ გუნდში. საუკეთესო ფეხბურთელებს იხილავენ ჩვენი ფანები. ეს ხომ ყოველდღე არ ხდება" — განაცხადა „მანჩესტერის" დირექტორმა ბობი ჩარლტონმა.

ჯერჯერობით კი გამოძახებულნი არიან: დევიდ ბექჰემი, სტივენ ჯერარდი, ჯეიმი კარაგერი, ერიკ აბიდალი, გრეგორი კუპე, ჟუნინიო, რონალდინიო, კარლეს პუიოლი, ჯანლუკა ძამბროტა და ლილიან ტურამი.

## ფოსტერს სართან ჩაარჭობენ

| 15102 | დორტმუნდი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | ასკოლი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15166 | ლივორნო-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | მილანი-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | კალიარი-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | კატანია-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ფიორენტინა-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | ლაციო-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | მესინა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | პარმა-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | უდინეზე-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | ბილბაო-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15210 | დეპორტივო-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | მალიორკა-ლევანტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | რეალი-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | უელვა-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | რასინგი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | სევილია-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | ვალენსია-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | სარაგოსა-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | სტ.ეტიენი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ოსერი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ლილი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | ლორიანი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15238 | მონაკო-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15239 | ნანსი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15240 | სედანი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15241 | ვალენსიენი-ტულუზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15243 | სოშო-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15244 | მარსელი-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15461 | აინტრახტი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლივერპული-მანჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 16002 | არსენალი-რედინგი | 1.06 | 5.70 |
| 16003 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.60 | 2.00 |
| 16004 | სიტი-უიგანი | 1.34 | 2.80 |
| 16005 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1.38 | 2.70 |
| 16006 | შეფილდი-ევერტონი | 1.82 | 1.75 |
| 16007 | უოტფორდი-ჩარლტონი | 1.75 | 1.90 |
| 16008 | პორტსმუთი-ჩელსი | 4.00 | 1.15 |
| 16010 | ბოლტონი-ბლექბერნი | 1.35 | 2.80 |
| 16011 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2.30 | 1.50 |
| 16066 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1.02 | 11.00 |
| 16068 | ფოლკირკი-აბერდინი | 2.10 | 1.55 |
| 16069 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.55 | 2.10 |
| 16070 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 2.00 | 1.70 |
| 16071 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 2.50 | 1.40 |
| 16073 | მოზერუელი-ჰართსი | 2.10 | 1.60 |
| 16091 | შალკე-ჰამბურგი | 1.27 | 3.00 |
| 16093 | არმინია-ნიურნბერგი | 1.90 | 1.65 |
| 16094 | ჰერტა-ბაიერნი | 2.10 | 1.60 |
| 16095 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.80 | 1.80 |
| 16097 | ვერდერი-ბოხუმი | 1.05 | 6.50 |
| 16099 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.35 | 2.75 |
| 16101 | ალემანია-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 16102 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1.20 | 3.80 |
| 16164 | ასკოლი-რომა | 3.30 | 1.23 |
| 16166 | ლივორნო-ინტერი | 2.60 | 1.32 |
| 16168 | მილანი-კიევო | 1.08 | 5.00 |
| 16170 | კალიარი-ატალანტა | 1.60 | 2.05 |
| 16171 | კატანია-სიენა | 1.58 | 2.10 |
| 16172 | ფიორენტინა-ტორინო | 1.12 | 5.00 |
| 16173 | ლაციო-სამპდორია | 1.25 | 3.20 |
| 16174 | მესინა-პალერმო | 2.00 | 1.60 |
| 16175 | პარმა-რეჯინა | 1.60 | 2.00 |
| 16176 | უდინეზე-ემპოლი | 1.55 | 2.20 |
| 16208 | ბილბაო-ტარაგონა | 1.22 | 3.60 |
| 16209 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.50 | 2.30 |
| 16210 | დეპორტივო-ბეტისი | 1.50 | 2.30 |
| 16211 | მალიორკა-ლევანტე | 1.50 | 2.30 |
| 16212 | რეალი-ხეტაფე | 1.15 | 4.20 |
| 16214 | უელვა-ატლეტიკო | 1.80 | 1.80 |
| 16215 | რასინგი-ოსასუნა | 1.50 | 2.25 |
| 16216 | სევილია-ბარსელონა | 1.80 | 1.80 |
| 16217 | ვალენსია-სელტა | 1.06 | 6.80 |
| 16219 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.12 | 5.00 |
| 16231 | სტ.ეტიენი-ლიონი | 2.25 | 1.42 |
| 16233 | ოსერი-რენი | 1.50 | 2.20 |
| 16234 | ლილი-ტრუა | 1.15 | 4.20 |
| 16236 | ლორიანი-ნიცა | 1.60 | 2.10 |
| 16238 | მონაკო-ბორდო | 1.55 | 2.20 |
| 16239 | ნანსი-ლე მანი | 1.50 | 2.30 |
| 16240 | სედანი-პსჟ | 1.95 | 1.65 |
| 16241 | ვალენსიენი-ტულუზი | 1.70 | 1.90 |
| 16243 | სოშო-ნანტი | 1.25 | 3.10 |
| 16244 | მარსელი-ლანსი | 1.55 | 2.20 |
| 16461 | აინტრახტი-ჰანოვერი | 1.75 | 1.85 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლივერპული-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | არსენალი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17004 | სიტი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17006 | შეფილდი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | უოტფორდი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | პორტსმუთი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ბოლტონი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | ფოლკირკი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | მოზერუელი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17091 | შალკე-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | არმინია-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ჰერტა-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17095 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ვერდერი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ალემანია-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ასკოლი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17166 | ლივორნო-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | მილანი-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17170 | კალიარი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17171 | კატანია-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ფიორენტინა-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17173 | ლაციო-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17174 | მესინა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17175 | პარმა-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17176 | უდინეზე-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ბილბაო-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | დეპორტივო-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17211 | მალიორკა-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17212 | რეალი-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17214 | უელვა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17215 | რასინგი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17216 | სევილია-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ვალენსია-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17219 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17231 | სტ.ეტიენი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ოსერი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ლილი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17236 | ლორიანი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17238 | მონაკო-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17239 | ნანსი-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17240 | სედანი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17241 | ვალენსიენი-ტულუზი | 1.85 | 1.95 |
| 17243 | სოშო-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17244 | მარსელი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17461 | აინტრახტი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 251 | გენგამ-რეიმსი | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 23:00 | 252 | მონპელიე-მეცი | 2.95 | 2.80 | 2.45 | 1.43 | 1.33 | 1.30 |
| 23:00 | 253 | ნიორი-ბასტია | 2.60 | 2.70 | 2.75 | 1.32 | 1.33 | 1.36 |
| 23:30 | 254 | ლე ავრი-სტრასბური | 2.20 | 2.80 | 3.25 | 1.23 | 1.31 | 1.50 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 255 | ტუარი-კაენი | 3.40 | 2.90 | 2.10 | 1.56 | 1.29 | 1.21 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 256 | რუზელარე-ვარეგემი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 257 | ბევერენი-გენკი | 4.60 | 3.50 | 1.65 | 1.98 | 1.21 | 1.12 |
| 23:00 | 259 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 23:00 | 261 | ხერკლი-სტანდარდი | 3.70 | 3.40 | 1.85 | 1.77 | 1.23 | 1.19 |
| 23:00 | 263 | გენტი-ლიერსი | 1.26 | 4.70 | 9.50 | 1.00 | 1.11 | 3.14 |
| 23:00 | 264 | მონსი-ლოკერენი | 1.95 | 3.30 | 3.45 | 1.22 | 1.24 | 1.68 |
| 23:00 | 265 | სტ.ტრუიდენი-მუსკრონი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| 23:00 | 266 | ვესტერლო-ბრიუსელი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 267 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 277 | ნაიმეგენი-ტვენტე | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 278 | პსვ-ვალვაიკი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 22:30 | 280 | ტილბურგი-სპარტა | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:00 | 281 | გრონინგენი-ბრედა | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 23:00 | 282 | ვიტესი-ექსელსიორი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 283 | აიაქსი-ჰერენვენი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 17:30 | 285 | ფეიენოორდი-როდა | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 17:30 | 286 | ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 17:30 | 287 | უტრეხტი-ალკმაარი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 289 | აპელდორნი-ვეენდამი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 23:00 | 290 | კამბური-დორდრეხტი | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 23:00 | 291 | გრააფსხაპი-ოსი | 1.22 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.37 |
| 23:00 | 292 | დენ ბოსხი-ზვოლე | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 23:00 | 293 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 23:00 | 294 | ემენი-სიტარდი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:00 | 295 | იგლსი-ვოლენდამი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:00 | 296 | მაასტრიხტი-როზენდალი | 3.20 | 3.30 | 1.95 | 1.62 | 1.21 | 1.22 |
| 23:00 | 297 | ალმერე-ჰელმონდი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 23:00 | 298 | ტელსტარი-ვენლო | 2.85 | 3.30 | 2.15 | 1.52 | 1.22 | 1.30 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 307 | ფერეირა-სეტუბალი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 304 | ავეში-ბენფიკა | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 23:15 | 310 | პორტუ-ბრაგა | 1.50 | 3.80 | 5.70 | 1.07 | 1.18 | 2.27 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 303 | ამადორა-მარიტიმუ | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 305 | ბეირა მარი-ნაციონალი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 23:15 | 308 | ლეირია-სპორტინგი | 3.60 | 3.10 | 1.95 | 1.66 | 1.26 | 1.19 |
| 20:00 | 309 | ნასიონალი-აკადემიკა | 1.85 | 3.30 | 3.85 | 1.18 | 1.24 | 1.77 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 306 | ბოავიშტა-ბელენენსეში | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 18:45 | 319 | იონიკოსი-ქსანთი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 21:00 | 320 | აეკ-არისი | 1.40 | 3.80 | 8.00 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 321 | ეგალეო-პანიონიოსი | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 17:00 | 322 | ერგოტელისი-ატრომიტოსი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 17:00 | 323 | ირაკლისი-კალამარია | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 18:45 | 324 | კერკირა-პაოკ | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 18:45 | 325 | ოლიმპია-ოფი | 1.90 | 3.10 | 3.65 | 1.17 | 1.24 | 1.67 |
| 21:00 | 326 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 329 | ბურსა-ანტალია | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 328 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 16:00 | 330 | დენიზლი-ანკარაგუჯუ | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 16:00 | 334 | კაისერი-რიზე | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 16:00 | 327 | ანკარა-საკარია | 1.70 | 3.30 | 4.55 | 1.12 | 1.23 | 1.91 |
| 21:00 | 331 | ფენერბაჩე-სივასპორი | 1.27 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.13 |
| 16:00 | 333 | გაზიანთეპი-ერჯიესი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 17:00 | 335 | კონია-ტრაბზონი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 16:00 | 336 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 09:00 | 351 | ტოკიო-ჰიროსიმა | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 09:00 | 352 | ოიტა-ნიიგატა | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 09:00 | 353 | იოკოჰამა-კოფუ | 1.80 | 3.40 | 3.55 | 1.17 | 1.19 | 1.73 |
| 10:00 | 354 | კავასაკი-კაშიმა | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 10:00 | 355 | შიმიცუ-კობე | 1.50 | 3.70 | 5.30 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 11:00 | 356 | ურავა-იოკოჰამა | 1.40 | 3.80 | 6.30 | 1.02 | 1.14 | 2.37 |
| 14:00 | 357 | გამბა-ომია | 1.60 | 4.70 | 5.50 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 11:00 | 358 | კაშივა-ივატა | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.53 |
| 11:00 | 359 | ნაგოია-იჩიჰარა | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.64 |
| | | რუსეთი. თასი | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 440 | ამკარი-მოსკოვი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 15:00 | 441 | დინამო მ-ტომსკი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 16:00 | 442 | როსტოვი-რუბინი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 17:00 | 443 | ტორპედო მ-დინამო ბრიანსკი | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| 15:30 | 444 | ზენიტი-სატურნი | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| | | რუსეთი. სუპერ თასი (მოსკოვი) | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 743 | ცსკა მ-სპარტაკი მ | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 561 | ფერიესტადი-მალმო | 1.35 | 4.60 | 5.10 | 1.04 | 1.06 | 2.41 |
| 22:00 | 562 | ფროლუნდა-ტიმრე | 1.60 | 4.40 | 3.50 | 1.17 | 1.09 | 1.94 |
| 22:00 | 563 | ლინჩიოპინგი-იურგორდენი | 2.15 | 4.10 | 2.35 | 1.41 | 1.12 | 1.49 |
| 22:00 | 564 | მოდო-მორა | 1.95 | 4.20 | 2.20 | 1.33 | 1.03 | 1.44 |
| 22:00 | 565 | ჰვ 71-აიკ | 1.90 | 4.30 | 2.35 | 1.31 | 1.05 | 1.51 |
| 22:00 | 566 | ლულეო-ბრიუნესი | 1.70 | 4.40 | 3.00 | 1.22 | 1.08 | 1.78 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 588 | ფრანკფურტი-ინგოლშტადი | 1.90 | 4.40 | 2.35 | 1.32 | 1.05 | 1.53 |
| 22:30 | 589 | დუისბურგი-სტრაუბინგი | 2.40 | 4.20 | 2.10 | 1.52 | 1.12 | 1.39 |
| 22:30 | 590 | კიოლნი-დიუსელდორფი | 2.00 | 4.30 | 2.30 | 1.36 | 1.06 | 1.49 |
| 22:30 | 591 | აუგსბურგი-კრეფელდი | 2.60 | 4.30 | 1.80 | 1.62 | 1.06 | 1.26 |
| 22:30 | 592 | ნიურნბერგი-აისბარენი | 1.60 | 4.40 | 3.00 | 1.17 | 1.04 | 1.78 |
| 22:30 | 593 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| | | კალათბურთი. საბერძნეთი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 722 | პანათინაიკოსი-პაოკ | 1.02 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 21:00 | 726 | პანიონიოსი-პანელინიოსი | 1.45 | 12.00 | 2.55 | 1.29 | 1.00 | 2.10 |
| 19:00 | 728 | აპოლონი-აელ | 1.30 | 12.00 | 3.10 | 1.17 | 1.00 | 2.46 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 723 | მარუსი-ეგალეო | 1.20 | 12.00 | 4.50 | 1.09 | 1.00 | 3.27 |
| 19:00 | 724 | არისი-აეკ | 1.12 | 12.00 | 6.00 | 1.02 | 1.00 | 4.00 |
| 19:00 | 725 | მაკედონიკოსი-ოლიმპიაკოსი | 8.00 | 12.00 | 1.02 | 4.80 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 727 | ოლიმპია-აეკ | 1.35 | 12.00 | 2.60 | 1.21 | 1.00 | 2.13 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ჩოგბურთი

# ერთი დარტყმა როჯერის მეხსიერებისთვის

**როჯერ ფედერერის** მოგებათა მორიგმა სერიამ უკვე 38 მატჩს უზია — ნახევარი წელიწადია, შვეიცარიელს დამარცხების სიმწარე არ უგემია. ალპელი გენიოსის მორიგი მსხვერპლი იტალიელი დანიელე ბრაჩიალი იყო, რომელმაც ღირსეულად იბრძოლა და თანამედროვე ჩოგბურთის უპირობო პირველ ნომერს ბლომად თავსატეხიც გაუჩინა. „მხიარულმა როჯერმა“ პირველი წრის შეხვედრასთან შედარებით აშკარად მოუმატა და ამჯერად გაცილებით თავისუფლად ითამაშა, რაც იმის მანიშნებელია, რომ აზიურ სიცხესა და ჰარდს ეჩვევა. ფედერერმა თავისი ლაღი თამაშით ამჯერადაც ალაფრთოვანა მაყურებელი — განსაკუთრებით მეორე სეტიდან უნდა გამოვყოთ ერთი ეპიზოდი, როცა თითქმის უიმედო ბურთს გაეკიდა და ნახტომში ფეხებს შორის დარტყმით სნაიპერის სიზუსტით გაუშვა მეტოქის ნახევარზე.

„ეს ერთ-ერთი საუკეთესო დარტყმა იყო, რაც ცხოვრებაში შემისრულებია. არც მეგონა, ოდესმე თუ გამომივიდოდა. ბოლოს სამი წლის წინ ვცადე მარატ საფინთან და ჩავფლავდი კიდეც. ასე რომ, ეს ეპიზოდი დიდ ხანს მემახსოვრება“ — ღიმილით იხსენებდა ნამატჩევს ამ სუპერდარტყმას ფედერერი.

შვეიცარიელისგან განსხვავებით, პირველი თამაშიდან სათანადო დასკვნების გამოტანა ვერ მოახერხა ტურნირის მოქმედმა ჩემპიონმა რაფაელ ნადალმა. ესპანელმა ვარსკვლავბიჭუნამ ამჯერადაც მაგრად იწვალა და კვლავ სამი სეტის მოანდომა მოგებას. თუმც ეს იმის ბრალი უფრო უნდა იყოს, რომ პირინეელს იგორ ანდრეევთან უწევდა თამაში. ჯერ ერთი, რომ რუსი ახლა დიდებულ ფორმაშია, რაც დევისის თასზე დაამტკიცა და ჩილესთან ფაქტობრივად მარტომ მოაგებინა თავის ნაკრებს. მაგრამ ამასთანავე, როგორც გამოჩნდა, უბრალოდ, ანდრეევს კარგად გამოსდის ნადალთან თამაში — ცოტას თუ ემახსოვრება, რომ ეს რუსი ბოლო მეჩოგნეა, რომელმაც რაფა გრუნტზე დასცა. ეს კი პატარა მიღწევა სულაც არ გახლავთ, რადგანაც ამ მარცხის შემდეგ (2005 წელს ვალენსიის მეოთხედფინალში მოხდა) ესპანელმა ყველა სათიხნარო რეკორდი დაამხო და ზედიზედ 62 მატჩი მოიგო ამ საფარზე, რის გამოც „გრუნტის მეფის“ ტიტულიც დაიმსახურა.

ასე რომ, ნადალს ძველი ანგარიშებიც ჰქონდა გასასწორებელი და ამიტომაც თავიდან ძალიან ძლიერად დაიწყო. შედეგად ესპანელმა სეტი ადვილად მოიგო, მეორე პარტიაში კი 3:3-ზე სამმაგი ბრეიკპოინტი ჰქონდა. თუმც ანდრეევი ამ მდგომარეობიდან გამოძვრა და ეს სეტი სულაც თავის სასარგებლოდ დაასრულა. საბოლოოდ გამარჯვებულის ბედი გადამწყვეტი პარტიის ტაიბრეიკზე გაირკვა, სადაც ნადალს მეტი ძალა შემორჩა — მეოთხედფინალში კი ესპანელი კიდევ ერთ რუსს, მიხაილ იუჟნის დაეტაკება.

უნდა გამოიყოს ტომი ჰაასის დიდებული ჩოგნაობაც — გერმანელმა ყველას დაასწრო და უკვე ნახევარფინალის საგზურიც გაინაღდა. ტომიმ ოლივიე როხუსს უადვილესად გადაუარა და მხოლოდ ორი გეიმი დაანება.

აკაპულკოში ორგანიზატორებმა თიხნარი დააგეს და შედეგად მეოთხედფინალები თითქმის მთლიანად არგენტინულ-ესპანური იქნება. ერთადერთი ნიკოლას მასუა „უცხო“ ამ კომპანიაში — ისე კი საუკეთესო რვაში 4 პატაგონიელი და 3 პირინეელია. ჩვენ კი ამათგან ხუან-კარლოს ფერეროს კარგი თამაში აღვნიშნოთ, რომელიც აქამდე იოლად გადიოდა ფონს, მაგრამ გასტონ გაუდიოს სახით ახლა ძალიან სერიოზული გამოცდა ელის.

ჟუსტინ ენინი კი ზედიზედ მეორე ტიტულს უმიზნებს. ავსტრალიელმა ალისია მოლიკმა ბევრი იბრძოლა და მეტოქე მაგრადაც აწვალა, მაგრამ ჭინკა ბელგიელმა მაინც სეტწაუგებლად იხეირა. ჟუსტინს ახლა წინ პატი შნიდერი ელოდება. მეოთხედფინალშია დოჰაში კარგად დასვენებული მარტინა ჰინგისიც, რომელსაც ნახევრფინალის საგზურს დანიელა ჰანტუხოვა შეეცილება.

**კახა ლომაშვილი**



AFP ფოტოდან

## ანა ანჯელას ვერ მოერია

**ქართველმა** ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა ვერც ვერ მოახერხა ლას ვეგასის ჰარდზე მიმდინარე 75-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ანამ ორ მეტოქეს კი მოუგო, მაგრამ მესამე და გადამწყვეტ შეხვედრაში უშანსოდ — 3:6 2:6 წააგო 22 წლის ამერიკელ ანჯელა ჰეინსთან, ვინც ამ წუთისთვის 194-ეა WTA-ს რეიტინგში, 2005 წელს კი სულაც პირველ ასეულში, 95-ე პოზიციაზე იყო.

გაირკვა შვეიცარიული ლოგერნას ჭერქვეშა ხალიჩაზე მიმდინარე ტურნირში ლადო ჩიხლაძის სამეორწრეო მეტოქის ვინაობა. ეს კორტის მასპინძელი რობინ როშარდტია, რომელიც ძირითად ბადეში ორგანიზატორთა მიწვევით, ანუ „ველური ბარათით“ მოხვდა და პირველ წრეში ჩეხ იაკუბ ჰაშეკს 6:4 6:3 გაუსწორდა.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ხელები შორს აღმოსავლეთისგან!

## ფილადელფიამ ფინიქსს რეკორდი ნაცარში ჩაუგდო



ზაზა ფაჩულიამ „ნიუ ორლეანს“ 13 ქულა ჩაუგდო

**ვერ აისრულეს** გულისწადილი ფინიქსელებმა. 14 აღმოსავლელი მეტოქის მათსავე მოედანზე დამარცხების და უნიკალურ შედეგთან მიახლოების შემდეგ უკანასკნელი გამოცდა ჩააფლავეს, ფილადელფიაში უხეირო „სიქსერზს“ ვერა მოუხეხეს და რეკორდიც ხელიდან გამოეცალათ. უფრო ზუსტად, „ფინიქსმა“ გაიმეორა სწორედ ამ „ფილადელფიის“ 1982-83 წლების სეზონის რეკორდი, როცა აღმოსავლეთის ამ წარმომადგენელმა ყველა დასავლური გასვლა მოიგო ერთის გარდა.

წლეულს, განსაკუთრებით ალენ აივერსონის „დენვერში“ გაქცევის შემდეგ, „ფილადელფია“ ძლივს ახერხებს მეტოქეთათვის წინააღმდეგობის გაწევას და კონფერენციაში მხოლოდ „ბოსტონს“ თუ უსწრებს, მაგრამ აგერ, მოახერხა და აღმოსავლეთი მძლავრი დასავლელის სრული ანექსიისგან იხსნა. არ გვინდოდა, რომ „ფინიქსს“ აღმოსავლური დაპყრობების სერია მაინცდამაინც ჩვენით დაესრულებინაო — ყინჩად ამბობდა გამარჯვებულთა ლიდერი და ამ მატჩში 24 ქულის მომხვეჭი ანდრე იგუდალა.

მისმა გუნდმა, შეიძლება თქვას, მცირე სასწაული მოახდინა, ასეთი მეტოქე რომ დასცა, მაგრამ ესეც სათქმელია, რომ „ფილადელფიას“ გარემოებებმაც შეუწყო ხელი — „ფინიქსი“ კარგა ხანია, ერთ-ერთ ლიდერ ბორის დიაუს გარეშე თამაშობს, წინა შეხვედრაში კი მატჩში საშუალოდ 18 ქულისა და 10 მოხსნის მშოვნელი, ოთხგზის ოლსტარელი შონ მერიონიც დაემტვრა და მაიკ დანტონის ფაქტობრივად ექვსი ჯანმრთელი შეგირდილა შერჩა, ასე რომ...

საშუალო დასავლელთან მარცხს თავი ვერ აარიდა ქვესაშუალო აღმოსავლელმა, ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“. ჯორჯიელები ოკლაჰომა სიტიში „ნიუ ორლეან ჰორნეთსთან“ საბრძოლველად შემართულები ჩაფრინდნენ და ყოჩაღადაც შეებნენ, მაგრამ თანაბარი სამი მეოთხედის შემდეგ გადამწყვეტ პერიოდში ვერ აჯობეს დამხვდურთა კარგად დაბალანსებულ გუნდს. „ჰორნეთსის“ დამწყები ხუთეულის უკლებლივ ყველა წევრმა რიგიანად ითამაშა — 16 და მეტი ქულა ჩაუკალათა „ჰოქსს“.

ზაზა ფაჩულიას „დალასთან“ 25-ქულიანი თამაშის შემდეგ ახლა 13 მოუგროვდა. ატლანტელთაგან საგანგებოდა გამოსარჩევია ხტუნია ფორვარდი ჯოშ სმიტი, რომელსაც სეზონის პირველ სამმაგ დუბლამდე თითო მოხსნა-პასი დააკლდა.

დუეინ ვეიდის დამტვრევის შემდეგ მაიამელებს პლეი ოფში მოსახვედრად საჭირო ოდენობის გამარჯვებების მოსაპოვებლად ნემსის ყუნწში გაძრომა და მთელი თავიანთი რესურსების გამოწურვა უწევთ. აღმოსავლეთის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდ „ვაშინგტონთან“ შეხედრაში ჩემპიონთა ვეტერანობაში ფეხგადამდგარი ცენტრი შაკილ ონილიც იძულებული იყო, ბოლომდე დახარჯულიყო და თავისიანთათვის ქულა-მოხსნები ორმაგი დუბლის ოდენობით მიეშველებინა. საბოლოოდ „მაიამიმ“ მოიგო და აღმოსავლეთში მეშვიდე ადგილზე [illegible] ერთბაშად მაცხრეზე ჩასწია სეზონის [illegible] დღერადაც კი მოვლენილი თანაშტატელი „ორლანდო“. ამ უკანასკნელს ოთხშაბათს ნაკლებად გაუმართლა — დენვერში სტუმრობა მარცხით დაასრულა და გვარიანადაც გაურთულდა საპლეიოფო საქმე.

ქულების წვიმა წამოვიდა საკრამენტოში, სადაც იქაური „მეფეები“ თავიანთ დარბაზს შარლოტელ „ფოცხვერებისგან“ იცავდნენ. მასპინძლებს საუკეთესო დამცველი რონ არტესტი აკლდათ და საკუთარ კალათში 120 ქულაც მიიღეს, მაგრამ დაცვაში გაფუჭებული შეტევაში გამოასწორეს, „ბობქეთსს“ 135 ქულა აძგერეს და ასე გაუშვეს „არკო არენადან“.

**კოტე ყორშია**

28 თებერვალი

**ნიუ ორლეანი 107:100 ატლანტა**

ნიუ ორლეანი: პოლი (24 ქულა, 13 პასი, 4 ჩაჭრა), ბრაუნი (19), მეისონი (16), ვესტი (17 ქულა, 14 მოხსნა), ჩანდლერი (18 ქულა, 13 მოხსნა, 4 დაფარება); პარგო (4), ბატლერი (4), ა. ჯექსონი (3), მ. ჯექსონი (2), ჯონსონი, არმსტრონგი

ატლანტა: კლაქსტონი (6), ჯ. ჯონსონი (27), მ. უილიამსი (12), სმიტი (17 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი, 5 დაფარება), რაიტი; ა. ჯონსონი (15), ფაჩულია (29 წუთი, 13 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), ჩილდრესი (7), სტუდემაიერი (3), შ. უილიამსი

**ფილადელფია 99:94 ფინიქსი**

ფილადელფია: იგუდალა (24 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), გრინი (20), კორვერი (16)

ფინიქსი: სტუდემაიერი (31 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (23 ქულა, 9 პასი)

**დენვერი 111:101 ორლანდო**

დენვერი: აივერსონი (34), ენტონი (23), ნახერა (17), კლიეზა (15)

ორლანდო: ჰოვარდი (23 ქულა, 12 მოხსნა), ნელსონი (16), დულინგი (14)

**საკრამენტო 135:120 შარლოტი**

საკრამენტო: მარტინი (31), ბიბი (30)

შარლოტი: ვოლესი (31), ფელტონი (22)

**კლიპერსი 96:91 სიეტლი**

კლიპერსი: ბრენდი (18), მაგეტი (18), კასელი (16)

სიეტლი: ლუისი (21), უოტსონი (19), ალენი (19)

**ჩიკაგო 113:83 გოლდენ სტეიტი**

ჩიკაგო: გორდონი (22), სეფოლოშა (19)

გოლდენ სტეიტი: აზუბუკე (23), რიჩარდსონი (17), ელისი (16)

**ჰიუსტონი 90:106 ტორონტო**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (22), ბეტიე (16)

ტორონტო: ბარნანი (20), ფორდი (16)

**ვაშინგტონი 83:92 მაიამი**

ვაშინგტონი: სტივენსონი (19), არენასი (15)

მაიამი: ონილი (23 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (23), ჰასლემი (12 ქულა, 16 მოხსნა)

**ბოსტონი 102:94 ნიუ იორკი**

ბოსტონი: ჯეფერსონი (26), პირსი (24), გრინი (21)

ნიუ იორკი: რიჩარდსონი (24), მარბერი (23), კარი (16)

**მემფისი 88:104 იუტა**

მემფისი: გასოლი (28 ქულა, 18 მოხსნა), მილერი (17)

იუტა: ბარპრინგი (25), ბუზერი (24 ქულა, 16 მოხსნა), უილიამსი (14 ქულა, 10 პასი)

## ოლ სტარს წყალი შეუდგა

2008 წლის ყველა ვარსკვლავის მატჩის გამართვა სათუო გამხდარა. როგორც ნბა-ს მოთამაშეთა პროფკავშირების თავკაცმა ბილი ჰანტერმა განაცხადა, ქალაქ ნიუ ორლეანში საშინელი წყალდიდობის შემდეგ აღდგენითი სამუშაოები ნელა მიმდინარეობს. გეხსომებათ, შარშან სასტიკმა სტიქიამ, ქარიშხალმა „კატრინამ“ თითქმის მთლიანად დატბორა ეს ქალაქი და ცხადია, მისი საკალათბურთო დარბაზიც. ჰოდა, ჰანტერი ეჭვობს, რომ მომავალი წლის თებერვლამდე ყველა იმ პირობის უზრუნველყოფა ვერ მოესწრება, რაც ამ გრანდიოზული ღონისძიებისთვისაა აუცილებელი.

მომავალ კვირაში ჰანტერი, ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი და საგანგებო სარევიზიო ჯგუფი ნიუ ორლეანში ჩავლენ და ოლ სტარის გამართვა-არგამართვის საკითხიც მაშინ გადაწყდება.

## მერიონის იძულებითი დასვენება

„ფინიქს სანსის“ ფორვარდმა შონ მერიონმა „ფილადელფიასთან“ მატჩი მარჯვენა ხელის ტრავმის გამო გამოტოვა. მან ხელი წინა თამაშში, „ინდიანასთან“ დაიშავა და როგორც ექიმებმა დაასკვნეს, მას მყესები აქვს დაჭიმული. მერიონი ამ სეზონში საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა და „ფინიქსის“ 57-ივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. 58-ე უიღბლო გამოდგა და ის რამდენიმე დღე კიდევ დაისვენებს.

## შჩერბიაკისთვის სეზონი დასრულდა

20 თებერვალს „საკრამენტოსთან“ მატჩში მიღებული ტრავმა მეტად მძიმე აღმოჩნდა ბოსტონელი ვალი შჩერბიაკისთვის. ექიმების გადაწყვეტილებით, ქირურგიული ჩარევა აუცილებელია. ოპერაციის დღეც დათქვეს — 8 მარტი. ჯერ ზუსტად არაა ცნობილი, მაგრამ სავარაუდოდ შჩერბიაკი ამ ჩემპიონატში ველარ დაეხმარება ისედაც წყალწაღებულ „ბოსტონს“.

## „ხარები“ ნოჩიონის გარეშე

„ჩიკაგო ბულზის“ მსუბუქი ფორვარდი ანდრეს ნოჩიონი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს: არგენტინელს მარჯვენა ხელის ტრავმა გაუმიზეზდა. „ხარების“ თავკაცი სკოტ სკაილზი საგონებელშია, რადგან დედლაინი დასრულებულია, რაც გუნდში ახალი მოთამაშის მიყვანას გამორიცხავს.



# იაპონური საჩუქარი

## აზიელებმა ევრორემონტი დაგვიფინანსეს



მიცუჰირო კონო და დილარ ხაბულიანი

**ვაკის** ძიუდოისტთა დარბაზში მალე სარემონტო სამუშაოები გაჩაღდება. რეკონსტრუქციის შემდეგ კი მას იაპონია-საქართველოს მეგობრობის ძიუდოს დარბაზი დაერქმევა. ინიციატივა არცთუ დიდი ხნის წინ ამომავალი მზის ქვეყნიდან წამოსულა. გუშინ კი აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ხელშეკრულებაც გაფორმდა. საქართველოში იაპონიის საელჩო არაა. საქმეს აზერბაიჯანში გახსნილი საელჩო უძღვება. ცერემონიას კი საელჩოს პირველი მდივანი მიცუჰირო კონო დაესწრო.

დღის გეგმებში სულ ხუთი პროექტის დაფინანსება შედიოდა. აქედან სპორტს მხოლოდ ერთი პუნქტი შეეხებოდა და შესაბამისად, მხოლოდ მასზე ვთქვათ. კონომ თანამემამულე და ქართველი ძიუდოისტების ჯანსაღი კონკურენცია და მეგობრობა ახსენა. ძიუდოს ფედერაციასთან კარგ ურთიერთობაზეც ჩამოაგდო სიტყვა და დარბაზის კეთილმოსაწყობად 87 500 ამერიკული დოლარის გამოყოფის გადაწყვეტილებასაც იქვე მოაწერა ხელი.

დილარ ხაბულიანი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი: „იაპონიის საელჩოსთან და იაპონელ ძიუდოისტებთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ერთობლივ ვარჯიშებსაც ხშირად ვატარებთ და ცხადია, დარბაზის მდგომარეობაც კარგად იციდნენ. ვამაყობ, რომ ინიციატივა მათგან წამოვიდა. ეს ქვეყანა ქართულ სპორტს პირველად ეხმარება და სასიხარულოა, რომ არჩევანი ჩვენზე შეაჩერეს“.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ჯონი უილკინსონის ტრავმაგრამა

**„კარგია მოედანზე დაბრუნება, თამაშის მუღამის შეგრძნება. ეს ისაა, რისთვისაც მე ვცოცხლობ“ — განაცხადა ინგლისის სარაგბო ნაკრების ათმა ნომერმა, ჯონი უილკინსონმა 3 თებერვალს ინგლისელთა მიერ შოტლანდიელთა ძლევის შემდეგ. ამ მატჩში დიდმა ჯონიმ 27 ქულა მოინაგრა**

**უილკინსონის** კარიერა ასე აეწყო: როგორც წესი, ყოველ დაბრუნებას ახალი ტრავმა ემატება, რომელმაც ჯადო-ჯონი რაგბის თითქოს უნდა ჩამოაცილოს მანამ, სანამ ჯიუტი და შეუპოვარი ხასიათის წყალობით, კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, მოახერხებს ფეხზე დადგომას და დაბრუნებას.

მის სხეულში ძნელად თუ მოძებნი კუნთს, რომელიც ერთხელ მაინც არ იყოს გაწყვეტილი, ან ძვალს, რომელიც ერთხელ მაინც არ იყოს გატეხილი. თერთმეტი სერიოზული ტრავმა ბოლო სამ სეზონში — ასეთია მისი „ხეიბრობის“ სტატისტიკა.

ამდენი ტანჯვა-ტკივილი რაგბის თამაშის კი არა, სიცოცხლის ხალისს დააკარგვინებდა კაცს, თუმცა ჯონის ალბათ მაინც სულ სხვანაირი ანგლოსაქსური ჯიგარი დანებების უფლებას არ აძლევს და ისიც ბრუნდება და ბრუნდება.

მოდით, ისიც გავიხსენოთ, ამ ბოლო ხანებში რამდენჯერ და რამდენი თვით დამტვრეულა „ვარდების“ ათიანი.

2003 წლის მსოფლიოს თასის ფინალში მხრის ტრავმა რომ მიიღო, დიდად არც მიუქცევია ყურადღება და მატჩიც ბოლომდე ჩაამთავრა. სწორადაც მოიქცა, რადგანაც მეორე ოვერტაიმის ბოლო წამებზე მისი არეკნით ინგლისმა ავსტრალიას მსოფლიოს თასი ცხვირწინ ააცალა. ამ ტრავმამ კი ჯონი 3 კვირით ჩამოაცილა რაგბის.

2004 წლის იანვარში უილკინსონი მშობლიურ „ნიუკასლს“ დაუბრუნდა, „ნორთჰემპტონის“ წინააღმდეგ სულ რაღაც 53 წუთი ითამაშა, რის შემდეგ იგივე მხარი დაიზიანა, რასაც ნერვული დაბოლოებებისა და კისრის ტრავმაც დაერთო და ინგლისელები ნაკრების ათიანს კიდევ შვიდი თვით დაემშვიდობნენ.

იმავე სეზონში, ოქტომბერში „ნიუკასლი“ ირლანდიურ „კონაჰტს“



ტესტი ეთამაშა და ჯონი სწორედ ამ მატჩით დაუბრუნდა გუნდს. ნაკრების მწვრთნელი ენდი რობინსონი სიხარულით ცას ეწია, კაპიტნობაც უბოძა და ის იყო იფიქრა, ვარსკვლავური ნაკრები დავიბრუნეო, რომ უილკინსონმა ახლა უკვე მარჯვენა ხელის კუნთი დაიზიანა და კიდევ თვენახევრით ჩაეწერა ლაზარეთში.

11 დეკემბერს, როგორც იქნა, „ნიუკასლმა“ ისევ დაიბრუნა გამთამაშებელი და ჰაინეკენის თასზე „ედინბურგს“ უილკინსონიანად ერაგბა. 2005 წლის 2 იანვარს ჯონიმ პირველი შეხვედრა თავიდან ბოლომდე ჩაატარა, 8 იანვარს კი „პერპინიანთან“ მატჩისას მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო და კიდევ ორი თვით დაუქნია გულშემატკივრებს ხელი.

იმკურნალა, ჯანზე მოვიდა და 13 მარტს დაუბრუნდა მოედანს, 34 წუთი ითამაშა „ჰარლექუინზის“ წინააღმდეგ, იგივე მუხლი ხელმეორედ იტკინა და კიდევ ერთი თვით ჩამოკიდა ბუცები კედელზე.

ზაფხულში ჯონი ისევ ფეხზე დადგა და სერ კლაივ ვუდვორდმა, რომელიც „ბრიტანელ ლომებს“ საზელანდიო ტურნესთვის ამზადებდა, გუნდში იხმო. პირველი მატჩი, რაოდენ საკვირველი უნდა იყოს, იღბლიანად დასრულდა. 2 ივლისს გამართულ მეორე ზელანდიურ ჯახში კი კისრის ძველმა ტრავმამ გაუხსენა თავი და კიდევ ორი თვით ჩამოაცილა ბურთსა და მოედანს.

სექტემბერში უილკინსონის ბედისწერამ წაიორიგინალურა: ამჯერად ჯონის ტრავმა არ მიუღია, სამაგიეროდ, ბრმანაწლავი ასტკივდა, საოპერაციო შეიქნა და კიდევ ერთი თვით იუქმა.

2 ოქტომბერს „შარქსის“ წინააღმდეგ შეცვლაზე შესვლით უილკინსონი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა რაგბის. ნოემბრამდე იბურთავა, მერე კი მარჯვენა ფეხის კუნთი ორი თვით დაიჭიმა.

2006 წლის 19 თებერვალს „გლოსტერის“ წინააღმდეგ პირველად უნდა გამოსულიყო მოედანზე ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ, თუმცა ვარჯიშზე ისევ ფეხის კუნთი იტკინა და კიდევ 3 თვე მიამატა „შვებულებას“.

2006 წლის პრემიერლიგურ სეზონში მაინც მოასწრო ბედუკუღმართმა მორაგბემ ცოტაოდენი ბურთაობა, თუმცა 8 სექტემბერს ერთ-ერთი მატჩისას საკუთარი გუნდელი, ენდი ბუისტი ისე დაეჯახა, რომ მოედანს ორი თვით ჩამოაცილა მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო.

3 ნოემბერს ისევ დაბრუნდა, თუმცა ბრისტოლთან თამაშისას ფეხი იტკინა და 15 დეკემბრამდე ვერ განაახლა ვარჯიში.

საბოლოო ჯამში ინგლისელთა ახალმა თავკაცმა, ბრაიან ეშტონმა მაინც შეიყვანა წლევანდელი ექვსი ერის განაცხადში და, როგორც ჩანს, არც შემცდარა.

პირველი მატჩის შემდეგ ეშტონმა აღიარა, გადაწყვეტილების მიღების სრული თავისუფლება მივეცი ჯონის, ის კი არც დაფიქრებულა, ისე დაბრუნდა და, როგორც ხედავთ, სწორადაც მოიქცაო. „ვარდების“ კაპიტანმა ფილ ვიკერიმ კი ის თქვა, კარგია, როცა მოედანზე უილკინსონია, თამაშს ბევრ რამეს მატებს, ოღონდაც სულ ასეთი „მთელ-მთელი“ იყოს და აღარაფერი მოიტეხოსო.

ვინ იცის, იქნებ ჯონის წლევანდელი დაბრუნება სულაც არ იყოს უკანასკნელი და ღმერთმა ნუ ქნას, მისი ტრავმიანობის სტენოგრამა კიდევ გაგრძელდეს, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, მისი გულშემატკივარი ერთ რამეში უკვე დარწმუნებულია — ქვეყნად არ არსებობს ტრავმა, რომელიც ჯონი უილკინსონს რაგბის თამაშზე უარს ათქმევინებს და რამდენჯერაც არ უნდა დაეცეს, მაინც ადგება, მაინც გაისწორებს მრავალტანჯულ ფეხზე ბუცს და ოვალურ ბურთსაც კიდევ მრავალჯერ გააძვრენს ძელებს შუა.

**ლადო ფულუკიძე**








ლევან ახვლედიანი

# მონიკას მინიმუმი უთხრეს

**პლაჟის** ფრენბურთში საქართველოს ქალთა წყვილს კრისტინ სანტანასა და ანდრეზა ჩაგრის ივეგ საქას და რთველის ბრაზილიელი მწვრთნელი რომ ეყოლებათ, „სარბიელმა“ უკვე გამცნოთ. გუშინ კი საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა და ქართულპასპორტიან ბრაზილიელთათვის თანამემამულე მწვრთნელის მონიკა როდრიგესის დანიშვნაზე ვრცლად ისაუბრა.

ლევან ახვლედიანის თქმით, მონიკა როდრიგესი 2008 წლის ბოლომდე იმუშავებს ჩვენს წყვილთან, შემდეგ კი შედეგების გათვალისწინებით გადაწყდება, გაგრძელდება თუ არა თანამშრომლობა. რაც შეეხება კონტრაქტის ფინანსურ მხარეს, ეს ინფორმაცია კონფიდენციალური ყოფილა.

*ლევან ახვლედიანი:* „გაისიდან იწყება პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიების მოპოვებაა, როგორც ქალებში, ასევე კაცებში. როგორც იცით, რენატო და ჟორჟი იგივე გელო და გია მსოფლიო რეიტინგში საკმაოდ მაღლა, 29-ე ადგილზე არიან და ლიცენზიას ნელ-ნელა უახლოვდებიან. მათ ოლიმპიური ჩემპიონების, რიკარდოს და ემანუელის პირადი მწვრთნელი ჟილმარიო „კაკა“ ბატისტა ავარჯიშებთ და აქ ყველაფერი რიგზეა. ქალების წყვილს კი გამოცდილი მწვრთნელი სჭირდებოდა და ესეც გავაკეთეთ“.

საქას და რთველის ახალი მწვრთნელი 39 წლის მონიკა როდრიგესია, რომელმაც ოთხი წლის წინ მიანება აქტიურ სპორტს თავი და მწვრთნელობა დაიწყო. ხამშობლოში როდრიგესი მომავლის მწვრთნელად ითვლება და უკვე საკმაო გამოცდილებაც დაუგროვდა. მოთამაშეობისას როდრიგესმა სრული 12 პროფესიული სეზონი ჩაატარა და უმაღლეს დონეზე თამაშობდა. მის უამრავ ტიტულიდან გამოსარჩევია ატლანტის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონობა და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონობა. ამასთან როდრიგესს მსოფლიო ტურები უამრავჯერ მოუგია.

*ლევან ახვლედიანი:* „სალიცენზიო ტურნირების გარდა ორივე წყვილი მსოფლიო ტურებზეც ითამაშებს, რომელთა რაოდენობა თექვსმეტამდე გაიზარდა. ამასთან ივლისში, შვეიცარიაში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება, სადაც 48 წყვილი ითამაშებს და თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალებში ჩვენებიც უნდა მოხვდნენ“.

**ბაჩო სვანიძე**

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## საპორო. იაპონია. 22 თებერვალი – 4 მარტი



ფინელ ქალთა ოქროს კვარტეტი

# კლასიკური სიუჟეტი

**ისეთი პირი** უჩანს, რომ ბარის თხილამურობის ფინელი დედოფალი ვირპი კუიტუნენი მაინც შეასრულებს თავის პროგრამა მინიმუმს და საპოროს მსოფლიოს ჩემპიონატზე სამ ოქროს მედალს მოიპოვებს.

ვირპიმ ზურგის ტრავმის გამო ორი ინდივიდუალური რბოლა გამოტოვა, უფრო ზუსტად, ერთი — დუატლონი ვერ დაასრულა და 10 კილომეტრიანი რბოლა გამოტოვა. ამის მიუხედავად, ფინელის ანგარიშზე უკვე სამი მედალია — ორი ოქროსი და ერთი ბრინჯაოსი და წინ 30 კილომეტრიანი მასსტარტია, რომელიც კლასიკური სტილით ჩატარდება და დიდი შანსია, კუიტუნენმა იქ ორ გუნდურ ოქროს მესამე, უკვე პირადი გამარჯვება დაამატოს.

ორი გუნდური ოქროო, რომ ვამბობთ, ვირპიმ ჯერ რიიტა ლიზა როპონენთან ერთად გუნდური სპრინტი მოიგო, გუშინ კი იმავე როპონენთან, აინო კაისა საარინენთან და პირხო მანინენთან ერთად 4x5 კილომეტრზე ესტაფეტაში იმარჯვა.

ისიც სათქმელია, რომ ფინელთა გუშინდელ გამარჯვებას, სწორედ კუიტუნენმა ჩაუყარა საფუძველი — მწვრთნელებმა ვირპი პირველ ეტაპზე დააყენეს და მანაც ოც წამზე მეტი მოუგო უახლოეს მდევარს. საერთოდ, ესტაფეტებში პირველი ორი ეტაპი კლასიკური სტილით ტარდება, შემდეგი ორი კი — თავისუფალით. ფინელთა გამარჯვება, სწორედ კლასიკურ ეტაპებზე გამოიძერწა — კუიტუნენის შემდეგ საარინენმა კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა და მეორე ადგილზე მყოფი ნორვეგიელები თითქმის 50 წამით ჩამოიტოვა. ამის შემდეგ, როგორც იტყვიან, ყველაფერი ტექნიკის საქმელა იყო და როპონენმა და მანინენმა აღარ გაფლანგეს ამხელა უპირატესობა, უპრობლემოდ შეინარჩუნეს ლიდერობა და ფინელ ქალთა კვარტეტი თექვსმეტწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

სამი ეტაპის შემდეგ ისეთი პირი უჩანდა, რომ ვერცხლი და ბრინჯაოც ჩრდილოეთში, სკანდინავიაში უნდა წასულიყო — ნორვეგიელები თითქოს კომფორტულად იყვნენ მეორე ადგილზე, ხოლო ჩემპიონატის აღმოჩენად მიჩნეულმა შვედმა შარლოტა კალამ გერმანელი კიუნცელ-ნიუსტადი 12 წამით ჩამოიტოვა, მაგრამ გერმანელებს დასკვნით ეტაპზე ევი ზახენბახერი ჰყავდათ და ამ უკანასკნელმა ჯერ შვედი ნორგრენი ჩამოიტოვა უკან, ბოლო კილომეტრზე კი ნორვეგიელი,· სპრინტის ჩემპიონი ასტრიდ იაკობსენიც ჩაყლაპა და თავისი ნაკრები მეორე ადგილზე გაიყვანა.

და ერთიც — სრული კრახი განიცადეს ერთ დროს უძლეველმა რუსმა ქალებმა, რომელთა კვარტეტიც ოდენ მე-7 ადგილზე გავიდა და ფინეთისას წუთითა და 20 წამით ჩამორჩა.

## თხილამურობა

| ქალები. 4X5 კმ ესტაფეტა | |
|---|---|
| 1. ფინეთი (კუიტუნენი, საარინენი, როპონენი, მანინენი) | 54 წთ18,6 წმ |
| 2. გერმანია (ზელერი, ბაუერი, კიუნცელ-ნიუსტადი, ზახენბახერი) | 54.30,5 |
| 3. ნორვეგია (სკოფტერუდი, ბიორგენი, სტეირა, იაკობსენი) | 54.34,3 |
| 4. შვედეთი (დალბერგი, ანდერსონი, კალა, ნორგრენი) | 54.50,3 |
| 5. ჩეხეთი (ერბენოვა, რაიდლოვა, იანეჩკოვა, ნოიმანოვა) | 55.02,9 |



# მსოფლიოს თასი. VII ეტაპი

## ლაჰტი. ფინეთი. 28 თებერვალი – 4 მარტი

# ლაჰტი ჰენკელმა გახსნა

**კარგა ხნის** შესვენების შემდეგ ზამთრის სპორტის ფინურ მექაში, ლაჰტიში ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის გათამაშება განახლდა.

2006-07 წლების სეზონის რიგით მე-7 ეტაპი 15 კილომეტრზე ქალთა ინდივიდუალური რბოლით დაიწყო და 4 მარტამდე გასტანს.



ლაჰტის ბიატლონური თამაშები გერმანელი ოლიმპიური ჩემპიონის ანდრეა ჰენკელის გამარჯვებით გაიხსნა. ანდრეა თავიდანვე სათავეში ჩაუდგა რბოლას, ერთადერთი შეცდომა მხოლოდ მეოთხე სასროლეთზე დაუშვა და მიმდინარე სეზონში უკვე მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ჰენკელმა მანამდე ჰოხფილცენში ერთბაშად სამი რბოლა მოიგო, რასაც იტალიურ ანტერსელვაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მასსტარტში გამარჯვება დაამატა.

მეორე ადგილზე ფრანგი ფლორენ ბევერელ-რობერი გავიდა, ვინც, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უშეცდომოდ ისროლა. მესამე ადგილის ბედი კი წამის ორმა მეათედმა გადაწყვიტა სეზონის ლიდერებმა — შვედმა ანა კარინ ოლოფსონმა და გერმანელმა კატი ვილჰელმმა სროლისას ორ-ორი შეცდომა დაუშვეს და თხილამურეობაში კი ოდნავ უფრო სწრაფი გერმანელი გამოდგა.

## ქალები

| 15 კმ. ინდივიდუალური (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 49 წთ 27,2 წმ (1 საჯარიმო წუთი) |
| 2. ფლორენ ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | 49.58,8 (0) |
| 3. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 50.22,3 (2) |
| 4. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 50.22,5 (2) |
| 5. ქსიან ინგ ლიუ (ჩინეთი) | 50.26,5 (0) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 669 ქულა |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 652 |
| 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 563 |
| 4. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 562 |
| 5. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 440 |



# ევროპულ მარაქაში ერთი ჩვენებურია



დავით ილარიანი

**დღეს** ბირმინგემში იწყება ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც 45 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვლენ. მის მონაწილე 587 მძლეოსანს შორის ვხედავთ ჩვენ ერთადერთ სპორტსმენს, 110 მეტრზე თარჯრბენში ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე დავით ილარიანს, რომელმაც საბირმინგემო საგზური ირანის საერთაშორისო ტურნირზე მოიპოვა. მან 1? მეტრზე თარჯრბენში ირანული ვერცხლის მედალი დაიმსახურა და საევროპო ნორმატივიც შეასრულა — 7,93.

ილარიანი ბირმინგემის სარბიელზე ხვალ გამოვა, თუმცა მისგან ფინალში მოხვედრას, მით უმეტეს, მედალს არავინ ელის.

საინტერესოა, რომ ბირმინგემის სარბიელზე 2005 წელს მადრიდში გამართული ევროპის ჩემპიონატის 13 გამარჯვებულს ვიხილავთ. სულ ბოლოს, გუშინ, ცნობილი გახდა, რომ ამ ჩემპიონატს გამოტოვებს დიდად ცნობილი მძლეოსანი, შარშანწინდელი მსოფლიოს ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში კაისა ბერგკვისტი. ამ შვედის თქმით, მისი ამჟამინდელი სპორტული ფორმა 197-198 სანტიმეტრიან დონეზე მაღალის შედეგები იქნების არ აძლევს და ამიტომ ბირმინგემში გამოსვლის აზრს ვერ ხედავს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# კუს ტბის პირას კასტროლის თასი დევს

**ხვალ** კუს ტბისკენ მიმავალ სერპანტინს საქართველოში გამორჩეული ეკიპაჟების ავტოქარავანი შეუდგება და ამით დაიწყება წლის ბოლომდე გაჭიმული ჩვენი საავტომობილო ფედერაციის კალენდრის პირველი დღე.

საქართველოს ახალგაზრდული საქმეთა და სპორტის დეპარტამენტის და თბილისის მერიის პატრონაჟით საქართველოს საავტომობილო ფედერაცია სეზონს ნამდვილი რალით ხსნის.

ხვალ კუს ტბას მისადგომებთან თექვსმეტი ეკიპაჟი დალაგდება და ჩქაროსნულ სლალომში შეეჯიბრება ერთმანეთს. კუს ტბის რალი საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპია და მასში ჩვენი ქვეყნის ტოპ-მრბოლელები მონაწილეობენ. ეტაპს „კასტროლის თასი" ჰქვია და ეს აქცია-რბოლა უსაფრთხო მოძრაობას უწევს პროპაგანდას.



## რეგულარული ჩემპიონატი

28 თებერვალი

**ოტავა 2:0 კაროლინა**

*1:0 0:0 1:0*

1:0 პითლი (4), 2:0 სპეცა (45)

**კალგარი 2:1 მინესოტა**

*0:0 0:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტები)*

0:1 დემიტრა (42), 1:1 რეგერი (56)

**სან ხოსე 3:4 ნეშვილი**

*2:1 0:0 1:2 0:0 (0:1 ბულიტები)*

1:0 ბერნიე (13), 1:1 ფიდლერი (17), 2:1 კარლი (19), 2:2 ერატი (47), 2:3 რადულოვი (55), 3:3 ვლასიჩი (56)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge